სასმელი



Rvino

rab

ვსვამ

(მიცემითი ბრუნვა)


ლიმონათი

limonat

ყავა

qahva

რა სასმელია?





კომბოსტო

კარტოფილი

ბადრიჯანი

სტაფილო

ბოსტნეული


ლობიო

ვჭამ

პამიდორი

(მიცემითი ბრუნვა)

კიტრი



ჭერამი

გარგარი

ვაშლი

მსხალი

ხილი

ატამი

მარწყვი


ვჭამ


ბალი

(მიცემითი ბრუნვა)

ყურძენი

რა ბოსტნეულია?





მაგიდაზე თეფშებია, თეფშებზე დანა-ჩანგალია.

სასმელს ვსვამთ ჭიქით, საჭმელს ვჭამთ დანა-ჩანგლით.






3. როდის? – კითხვითი სიტყვაა, აღნიშნავს დროს.

na vaxt?-sual sözüdür,vaxtı ifadə edir.

როდის? // რომელ საათზე?

- რომელი საათია?
- ახლა ხუთს აკლია თხუთმეტი წუთი.
- შენ რომელ საათზე ხადილობ?
- ხუთ საათზე. შენ?
- მეც ამ დროს ვსადილობ.
- ძალიან კარგი.

რა ხილია?



4. დავიმახსოვროთ:



შვიდს აკლია 25 წუთი.

შვიდს აკლია 20 წუთი.

შვიდს აკლია 15 წუთი.

შვიდს აკლია 10 წუთი.

შვიდს აკლია 5 წუთი.



შვიდ-ს



მიცემითი ბრუნვა



5. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ:

კომბოსტო, პამიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, სტაფილო, ღობიო, ჭარხალი, კიტრი – ბოსტნეულია.

ჭერამი, გარგარი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, მარწყვი, ყურძენი – ხილია.

წყალი, კაკაო, ჩაი, რძე, ღვინო, ლიმონათი, ყავა – სასმელია.

რომელი საათია?

4<sup>40</sup>

6<sup>45</sup>

17<sup>15</sup>

2<sup>25</sup>

12<sup>55</sup>

3<sup>50</sup>

7<sup>55</sup>

22<sup>35</sup>

14<sup>15</sup>

2<sup>00</sup>


## ბაკვეთილი 3

### Dars 3



#### 1. დიალოგი:

- ალი, სად სწავლობ?
- მე ვსწავლობ უნივერსიტეტში.
- რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?
- ეკონომიკის ფაკულტეტზე.
- შენი და რომელ ფაკულტეტზე სწავლობს?
- ჩემი და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს.
- შენი მეგობრები სად სწავლობენ?
- ჩემი მეგობრები საინჟინრო სპეციალობაზე სწავლობენ.



#### 2. სად?

ახ

რომელ ფაკულტეტზე?

} სწავლობ?

სად? კითხვითი სიტყვაა, აღნიშნავს საგნის მდებარეობას. გამოიყენება აგრეთვე პიროვნების მოღვაწეობის სფეროს მისათითებლად.


Harada?suâl sözüdür,aşyanın yerleşdiyi yeri bildirir,həm də şəxsin yaradıcılıq göstərdiyi sahəni qeyd etmək üçün istifadə edilir.

ეკონომიკის ფაკულტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი  
ფილოლოგიის ფაკულტეტი  
ისტორიის ფაკულტეტი  
უცხო ენების ფაკულტეტი  
ჟურნალისტიკის ფაკულტეტი



### 3. დიალოგი:

- გამარჯობა, ალი.
- გაგიმარჯოს, დავით, როგორ ხარ?
- კარგად, გმადლობ. შენ როგორ ხარ?
- მეც კარგად.
- ახლა სად მუშაობ?
- მე ქალაქის მერიაში ვმუშაობ.
- შენი მეუღლე სად მუშაობს?
- ჩემი მეუღლე სკოლის პედაგოგია.
- ჩემი ძმაც მერიაში მუშაობს.
- მართლა? ძალიან კარგი.
- აბა, კარგად იყავი.
- ნახვამდის.




### 4. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ:

- სად მუშაობ?
- მე ქალაქის მერიაში ვმუშაობ.
- შენი მეუღლე სად მუშაობს?
- ჩემი მეუღლე სკოლის პედაგოგია.

საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი  
 აღმოსავლური ენების ფაკულტეტი  
 ფიზიკის ფაკულტეტი  
 ქიმიის ფაკულტეტი  
 ინფორმატიკის ფაკულტეტი  
 ბიოლოგიის ფაკულტეტი



5.




რომელი სად მუშაობს?  
Hansı burada işləyir?

ბანკში სკოლაში

რესტორანში

ბაზრობაზე



# თემა 8

## Mövzu 8


### ბაკვეთილი 1

#### Dars 1



#### დიალოგი

- გამარჯობა, ელენე.
- დილა მშვიდობისა, ანა.
- როგორ ხართ?
- ნელა-ნელა. თქვენ?
- ჩვენც არა გვიშავს.
- შენ მუშაობ?
- კი, ვმუშაობ.
- სად?
- სკოლაში, პედაგოგი ვარ. შენ სად მუშაობ?
- მე *საბავშვო ბაღის* პედაგოგი ვარ..
- შენი შვილი სწავლობს?
- კი, უნივერსიტეტში სწავლობს.
- რომელ ფაკულტეტზე?
- იურიდიულ ფაკულტეტზე. ის სტუდენტია. იურისტი იქნება.
- ძალიან კარგი. *მოკითხვა გადაეცე.*
- გმადლობ. კარგად იყავი.
- კარგად იყავით.



#### სად და რად მუშაობს?

##### პოლიციელი



##### მოსამართლე



##### ექიმი



მოკითხვა გადაეცე

მომიკითხე

ან

2.

თავაზიანი მიმართვის ფორმაა. გამოიყენება ნაცნობისათვის გახსენების, მოკითხვის გადაცემის დროს. კეთილ სურვილებს გამოხატავს.

სად მუშაობ?

უნივერსიტეტ-ში


სკოლა-ში

მერია-ში

ვმუშაობ

მე ვარ

უნივერსიტეტ  
სკოლა  
ქალაქ  
ბაღ



ლექტორი  
მასწავლებელი  
მუნიციპალიტეტის თანამშრომელი  
პედაგოგი



ორივე ეს კონსტრუქცია თანაბრად შეიძლება გამოვიყენოთ საუბარში.

Danıqda hər iki üsuly bərabər istifadə edə bilərsiniz.



პ. მოისმინეთ და გაიმეორეთ:

მე უნივერსიტეტში ვმუშაობ. – მე ვარ უნივერსიტეტის ლექტორი.

შენ სკოლაში მუშაობ. – შენ სკოლის მასწავლებელი ხარ.

ის მერიაში მუშაობს. – ის მერიის თანამშრომელია (ის მუნიციპალიტეტის თანამშრომელია).





მსგავსი ფრაზების გამოყენებით ააგეთ წინადადებები.

Oxşar sozlərin istifadəsi ilə cümlələr qurun.



ჯგუფი ვაიყოს ორ ნაწილად და ჯგუფის წევრებს შორის აიგოს დილოგები მსგავსი ფრაზების გამოყენებით (ზეპირად და წერიითი ფორმით).

Grup 2 hissəyə ayrılın və qrup üzvləri arasında dialoq qurulsun. Dialoqları oxşar cümlələrin istifadəsi ilə (şifahi və yazılı formada) qurun



4. ვაგიმეორეთ და ვისწავლეთ ახალი:

Təkrar edək və yenilik öyrənək:

ჩვენ უკვე ვისწავლეთ ვინ? და რა? კითხვითი სიტყვები:

Biz artıq kim? və nə? sual sözlərini öyrəndik:

ვინ არის ის?



რა არის ის?



ვინ არის ის? – ის არის პედაგოგი.

მაგრამ ამ ფორმის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ამგვარი კონსტრუქცია:

Ancaq bu formanın əvəzinə belə bir üsuldən istifadə edə bilərik

სად და რად მუშაობს?

პარიკმახერ-სტილისტად



საპარიკმახეროში

მუსიკოსად



ოპერაში

ფოსტალიონად



ფოსტაში

რად მუშაობს? – პედაგოგად მუშაობს.

რად მუშაობს?



- პედაგოგად
- დირექტორად
- ლექტორად
- იურისტად



**7. დიალოგი:**

- გამარჯობა, მარია!
- სადამო მშვიდლობისა, ბატონო შოთა, როგორ ბრძანდებით?
- გმადლობთ, კარგად.
- ბატონო შოთა, თქვენ იურისტად მუშაობთ?
- ჰო, იურისტად ვმუშაობ.
- მე პედაგოგად ვმუშაობ სკოლაში, ჩემი ქმარი კი დირექტორად. ეს პრობლემა არაა?
- არა, ეს პრობლემა არაა.
- დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ!
- კარგად ბრძანდებოდეთ!

**ბატონო!**

- მიმართვის თავაზიანი ფორმა  
**Müraciətın nazakətli forması**



**8. შეგაჯამოთ და გავიმეოროთ ფორმები:**

**Cümlələri toplayaq və təkrar edək:**

ის არის დირექტორი – ის დირექტორია.

ის არის სკოლის დირექტორი – ის სკოლის დირექტორია.



მე წყალს ჭიქით ვსვამ.

ხუთს აკლია ხუთი წუთი.

გიორგი დირექტორად მუშაობს, დავითი კი – ეკონომისტად.

სად მუშაობთ?

რად მუშაობთ?

თქვენი მონაცემები:

---

---

---

## გაკვეთილი 2

### Dars 2

#### 1. რესტორანში

ალი ბოლნისში ცხოვრობს. ის სტუდენტია. სტუდენტები ხშირად ერთად არიან.

სტუდენტები მეგობრობენ.

სტუდენტები რესტორანში არიან.



2. ალის ნაცნობი რესტორანში ოფიციალტად მუშაობს.

ეს მაგიდა დაკავებულია?

- .....
- ვერ გავიგე, თუ შეიძლება გაიმეორეთ.
- არა, თავისუფალია, დაბრძანდით.
- გმადლობთ.



#### მენიუ

##### ცხელი კერძები

ქაბაბი	3. 00
ტოლმა	2. 50
მწვადი	3. 00
ხინკალი	0. 30
შემწვარი კარტოფილი	1. 00

##### ცივი კერძები

ხალათი	2. 00
სოკო	3. 00

##### სასმელი


ლიმონათი	0. 50
ხილის წვენი	2. 00
ბორჯომი	1. 00
ღვინო	2. 00

##### დესერტი

ხილი	3. 00
ნამცხვარი	0. 80

- აი, მენიუ. რას შეგვიკვეთავთ?
- თუ შეიძლება, მოიტანეთ მწვადი, ხინკალი, ქაბაბი, შემწვარი კარტოფილი და სალათი.
- სასმელი?
- ბორჯომი, ლიმონათი და ერთი ბოთლი ღვინო.
- დესერტი?
- დესერტად ხილი და თითო ნაჭერი ნამცხვარი.
- ყველაფერი ოც წუთში იქნება.
- გმადლობთ.

3.



მე ვმეგობრობ	ჩვენ ვმეგობრობთ
შენ მეგობრობ	თქვენ მეგობრობთ
ის მეგობრობს	ისინი მეგობრობენ



#### 4. მოისმინეთ და დაიმახსოვრეთ ფრაზები:

Dinləyin və cümləri yadda saxlayın:

ვერ გავიგებ, თუ შეიძლება, გაიმეორეთ! - Başa düşmədim olarsa təkrar edin!

მაგიდა თავისუფალია? - Stol tutulmayıb?

რას შეგვიკვეთავთ? - Nə sifariş edirsiniz?

მოგვიტანეთ მენიუ, თუ შეიძლება. - Olarsa menyunu verin.

მიიღეთ შეკვეთა. - Sifarişə qəbul edin.

რამდენ წუთში იქნება? - Neçə dəqiqəyə hazır olar?

ოც წუთში ყველაფერი მზად იქნება. - İyirmi dəqiqəyə hər şey hazır olar.:

აღწერეთ სურათი:

Şəkli təsvir edin



თუ შეიძლება – თხოვნის გამომხატველი ფრაზა

Xahiş bildiren cümle



5. ააგეთ დიალოგები ამ ფრაზების გამოყენებით:

Bu cümlelərdən istifadə etməklə dialoq qurun::




6. მოისმინეთ:

Dinləyin

- გამარჯობა
- გამარჯობა.
- უკაცრავად, ეს რა შენობაა?
- ეს რესტორანია.
- დიდი ხანია, აქ რესტორანია?
- უკვე ორი წელია.
- თუ იცით, მისი დირექტორი აქაა?
- არ ვიცი, ვერ გეტყვით.
- სხვა თანამშრომელი არის?
- კი, აი, ეს მოლარეა, იქით კი ოფიცინანტი. მიბრძანდით.
- გმადლობთ.
- არაფრის.

აღწერეთ სურათი:

Şakli təsvir edirn



## ბაკვეთილი 3

### Dars 3



#### 1. მებობრები რესტორანში

- ლევონ, გუშინ სად იყავით?
- გუშინ მე და ჩემი მეგობრები რესტორანში ვიყავით.
- იქ ისადილეთ?
- ჰო, იქ ვისადილეთ.
- მუსიკაც იყო?
- კი, ძალიან კარგი მუსიკა იყო.
- რა მიირთვით?
- მწვადი, ხინკალი, ქაბაბი, შემწვარი კარტოფილი, ცოტა ღვინო.  
ბორჯომიც იყო.
- გიორგიც იყო?
- ჰო, გიორგიც იყო.
- ელენეც?
- არა, ელენე არა.
- ხვალ სად იქნები?
- ხვალ უნივერსიტეტში ვიქნები.
- დავითიც იქ იქნება?
- ჰო, დავითიც იქნება.
- ძალიან კარგი. ნახვამდის, ხვალამდე.
- კარგად იყავი.

გაიხსენეთ მოცემულ სიტყვასთან აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები:

ბაზარი

2. დადასტურების ფორმები: უარყოფის ფორმები:

Təsdiq formaları!

İnkar formaları.

ჰო

არა

კი

ვერა

დიახ - °



3. ისაუბრეთ თემაზე: ჩემი დღე.

Mövzu haqqında danışın: mənim günüm.



4. შეხსიერების გასაფიქრებელი საგარჯიშოები:

Yaddaşlıq inkişaf etdirən cümlələr:

ა. გაიყავით ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფიდან თითოეული ამბობს ერთ ქართულ სიტყვას. მეორე ჯგუფის წევრი საპასუხოდ სხვა ქართულ სიტყვას იხსენებს. ასე გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე ჯგუფი სიტყვის დასახელებას ვეღარ შეძლებს და ის ჯგუფი ჩაითვლება დამარცხებულად.

İki qrupa bölünün . Hər bir gruptan hər biri gürcü dilində söz deyir. İkinci qrupun üzvü cavab vermək üçün yadına başqa gürcü sözü salır. Bu hər hansı bir qrupun söz ifadə edə bilmədiyə zamana qədər davam edir və həmin qrup məğlub edilmiş olur.

ბ. მასწავლებელმა ახსნას რამდენიმე სიტყვა ქართულად ისე, რომ არ დაასახელოს თვით ეს სიტყვა. ჯგუფმა უნდა გამოიცნოს იგი.

Müəllim sözü efsə izah etməlidir ki, əşyanı adlandırmasın. Qrup əşyanı özü tapmalıdır.

გაიხსენეთ მოცემულ სიტყვასთან აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები:

რესტორანი



5. აღწერეთ სურათი:

Տակի təsvir edin:



6. შოისმინეთ და გაიმეორეთ:

მე არტური ვარ. რესტორანში ოფიციანტად ვმუშაობ. ეს კარგი სამსახურია. ხელფასიც კარგი მაქვს. აქ ხშირად მოდიან ჩვენი ქალაქის ცნობილი ადამიანები და ჩვენს გემრიელ კერძებს მიირთმევენ. მე კმაყოფილი ვარ ჩემი პროფესიით და ჩემი სამსახურით.

ხელფასი  
პენსია  
პრემია  
ჰონორარი




თემა 9

Mövzu 9

ბაკვეთილი 1

Dərs 1




1. ეს გლობუსია. იცით რომელიმე ქვეყნის ქართული სახელწოდება?  
ჩამოთვალეთ.

Bu qlobusdur. Hər hansı bir ölkənin gürcü dilində adlandırılmasını bilirsinizmi? Sadəlyın.

საქართველოს


დროშა





2. რა პქვია იმ ქვეყანას, სადაც თქვენ ცხოვრობთ (თქვენს ენაზე, სხვა ენაზე, ქართულად)?

Sizin yaşadığınız ölkə necə adlanır? (Öz dilinizdə, gürcü dilində və başqa dildə).



ამერიკაეკასია

## საქართველო

3. საქართველო ამერიკაეკასიის ცენტრში და ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარეობს. იგი მთაგორიანი ქვეყანაა. ჩრდილოეთით კაეკასიონის ქეღია, დასავლეთით კი - შავი ზღეა. საქართველოში ბევრია საკურორტო ადგილი.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი დიდი სამეფო იყო - კოლხეთი და იბერია. კოლხეთის სამეფოს უკავშირდება მითი არგონავტებისა და ოქროს საწმისის შესახებ.

საქართველოს ბერბი



საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ქალაქებია: ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, გორი, თელავი, სიღნაღი, ზესტაფონი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, მესტია, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ზუგდიდი, სენაკი, ოზურგეთი, მარტვილი, ცაგერი, ბოლნისი, დმანისი.



ფოთი საპორტო ქალაქია, სამტრედია – უდიდესი სარკინიგზო ცენტრია. რუსთაველი სახელგანთქმული მეტალურგიული ქარხანაა.

საქართველო რესპუბლიკაა. მას ჰყავს პრეზიდენტი და პარლამენტი, აქვს საკუთარი ფული – ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია.

ეროვნული დამოუკიდებლობის დღეა 26 მაისი.

**საქართველოს**

**უდიდესი**

**ქალაქები**



#### 4. უბასუხეთ კითხვებს:


Suallara cavab verin:

- რა იცით საქართველოს შესახებ?  
Gürcüstan haqqında nə bilirsiniz?
- რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს ქალაქების შესახებ?  
Gürcüstanın şəhərləri haqqında nə deyə bilərsiniz?
- რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს დედაქალაქის შესახებ?  
Gürcüstanın paytaxtı haqqında nə deyə bilərsiniz?



#### 5. მოისმინეთ და გაიმეორეთ: Dinləyin və təkrar edin.

საქართველო პატარა და ლამაზი ქვეყანაა. თბილისი საქართველოს დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია. აქ არის ოპერის ძალიან კარგი შენობა, რუსთაველის სახელობის თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, ფილარმონია და ბევრი სხვა კულტურული დაწესებულება. მხოლოდ თბილისშია მეტრო. აქ მეტროპოლიტენის ორი ხაზი მუშაობს, ვაგზლის მოედანზე კი გადასასვლელი სადგურია. თბილისში არის აეროპორტი და დიდი სარკინიგზო სადგური. თბილისზე გადის ამიერკავკასიის საავტომობილო გზა.



## 6. სიტყვაწარმოება

Sözün əməli gəlməsi.

სა - ო თავსართ-ბოლოსართი აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს:

Sa - O ön - son şəkilçilər coğrafi adlar bildirir.

### სა-ქართველ-ო

სა-ო აწარმოებს აგრეთვე დანიშნულების სახელებს:

Sa - O eyni zamanda təyin olunmuş adlar bildirir.

სა-პორტ-ო - ე. ი. პორტისთვის განკუთვნილი (ქალაქი)




Dənəli dəniz sahilinə aid olan şəhər.

სა-რკინიგზ-ო - ე. ი. რკინიგზის (რკინიგზისთვის განკუთვნილი) ცენტრი.



Dənəli dəmiryolu (ona aid dan) mərkəz.

შეავსეთ კროსვორდი საქართველოს ქალაქების სახელებით:



## ბაკვეთილი 2

### Dars 2

#### საქართველო

1. საქართველო დიდი ქვეყანა არაა. მისი ტერიტორიაა 72 ათასი კმ<sup>2</sup>. მოსახლეობა 5 მილიონია.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები, ქურთები.

საქართველო სხვადასხვა *კუთხეებისგან* შედგება. ეს კუთხეებია:



(მოიხმინეთ და გაიმეორეთ)

ქართლი	სამეგრელო	ხევი
კახეთი	აჭარა	ხევსურეთი
მესხეთი	სვანეთი	ფშავი
ჯავახეთი	ღეჩხუმი	თუშეთი
იმერეთი	რაჭა	აფხაზეთი
გურია	მთიულეთი	

2. ქართულ ენაში გამოიყოფა 16 *დიალექტი*. აქედან 4 დიალექტი საქართველოს *გარეთ* არის გავრცელებული. ესენია: ინგილოური (აზერბაიჯანის ტერიტორიაზე), იმერხეული, ლაზური (თურქეთის ტერიტორიაზე) და ფერეიდნული (ირანის ტერიტორიაზე).

საქართველოს კუთხეების წარმომადგენლებს ამგვარად *ჰქვიათ*.





(მოისმინეთ და გაიმეორეთ):

ქართლი - ქართლელი

კახეთი - კახელი

მესხეთი - მესხი

ჯავახეთი - ჯავახი

იმერეთი - იმერელი

გურია - გურული

სამეგრელო - მეგრელი

აჭარა - აჭარელი



სვანეთი - სვანი

ლენხუმი - ლენხუმელი

რაჭა - რაჭველი

მთიულეთი - მთიული

ხევი - მოხვეე

ხევსურეთი - ხევსური

ფშავი - ფშაველი

თუშეთი - თუში



აფხაზეთი - აფხაზი

საინგილო - ინგილო

ფერეიდანი -

ფერეიდნელი

ლაზეთი - ლაზი

იმერხევი - იმერხვეელი



3. თქვენი აზრით, რა მაწარმოებლები გამოიყოფა ამ სახელწოდებებში?

Bu adda hansı sözdüzdici şakilçi var?



ამრიგად, -ელ მაწარმოებელი გვიჩვენებს პიროვნების სადაურობას,

-ურ (-ულ - თუ სიტყვაში რ ბერაა) კი აღნიშნავს ამ რეგიონის პროდუქტს (იქნება ეს დიალექტი თუ სხვა რამ საგანი).

Demeli-el-sözdüzdici şakilçisi insanin yerini,harali oldugunu bildirir. -ur- (ul-sözdə r samiti varsa) ərazinin ərzağını bildirir (dialekt və şivə də olarsa).

## შეჯამება:

ქართლი - ქართლელი - ქართლური

კახეთი - კახელი -

ჯავახი - ჯავახური

ხევი - მოხვეე -

საინგილო - - ინგილოური

იმერეთი -

სამეგრელო - მეგრელი -

გურია - - გურული

- მესხი - მესხური

აჭარა - აჭარელი -



4. ქართული ენის დიალექტებია:  
(მოიხმინეთ და გაიმეორეთ):

ქართლური  
კახური  
მესხური  
ჯავახური  
იმერული  
გურული  
მეგრული

აჭარული  
სვანური  
ლენხუმური  
რაჭული  
მთიულური  
მოსხური  
ხევსურული

ფშაური  
თუშური  
აფხაზური  
ინგილოური  
ფერეიდნული  
ლაზური  
იმერხეული



5. გამოყავით მაწარმოებლები.  
Sözdüzaldici şakilçileri ayırın

ხევსურული, რაჭული, აჭარელი, ქართლელი, მთიულეთი, კახური, აფხაზეთი,  
საინგილო, ჯავახეთი, მესხური.



## ბაკვეთილი 3

### Dars 3

#### საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები

1. საქართველო ამიერკავკასიის ცენტრშია. ჩრდილოეთით მას რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი, დასავლეთით – შავი ზღვა.

სომხეთის დედაქალაქია ერევანი, აზერბაიჯანის დედაქალაქია ბაქო, ხოლო თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

ამ ქვეყნების წარმომადგენლების სახელწოდებებია:

ადამიანის წარმომავლობა	
რუსეთი	რუსი
სომხეთი	სომეხი
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანელი
თურქეთი	თურქი

პროდუქტის (საგნის) წარმომავლობა	
რუსეთი	რუსული
სომხეთი	სომხური
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანული
თურქეთი	თურქული

საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში არის საქართველოს საელჩოები. მათში საქართველოს წარმომადგენლობაა.



2. ისაუბრეთ, რა იცით ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ.

Zaqafqaziya ölkələri haqqında bildiklərinizi danışın.

შეავსეთ:

რუსეთი	-		-	რუსული
	-	სომეხი	-	სომხური
აზერბაიჯანი	-	აზერბაიჯანელი	-	
თურქეთი	-		-	თურქული
	-	ქართველი	-	ქართული



### 3. დიალოგი



- გამარჯობა, გიორგი, როგორ ხარ?
- კარგად, გმადლობ.
- ეს დღეები სად იყავი?
- მოსკოვში სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია იყო.

სტუდენტები იყვნენ აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, საქართველოდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

- საინტერესო იყო?
- ძალიან საინტერესო იყო მოხსენებებიც და შეხვედრებიც.
- ასეთი კონფერენცია კიდევ იქნება?
- კი, გაისად ამიერკავკასიის რომელიმე რესპუბლიკის ქალაქში იქნება.
- ძალიან კარგი.



### 4. ყურადღება მიაქციეთ:

საერთაშორისო

სამეცნიერო




### 5. გამოყავით მაწარმოებლები.

Sözdüzdici şakilçilərini ayırın



### 5. დაიმსხვრეთ:

Yadda saxlayın:





შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით. სწორად იხმარეთ არის ზმნის ფორმები.



**ნ. მოუსმინეთ კითხვებს და უპასუხეთ:**

1. შარშანწინ ზაფხულში სად იყავი?
2. შარშან ზამთარში სად იყავი?
3. წელს სად იქნები?
4. გაისად ზაფხულში სად იქნები?
5. მერმისს სად იქნები?
6. დღეს სად ხარ?
7. გუშინ სად იყავი?
8. გუშინწინ სად იყავი?
9. ხვალ სად იქნები?
10. ზეგ სად იქნები?
11. მაზეგ სად იქნები?

რომელია წარსული, ახლანდელი, მომავალი?: Geçmiş, indiki, gelecek hansıdır?

შარშან

დღეს

გაისად

გუშინწინ

ზეგ

შარშანწინ

გუშინ


მერმისს

# თემა 10

## Mövzu 10

### გაკვეთილი 1

#### Dars 1



1. ევრაზია დიდი კონტინენტია. მისი ერთი ნაწილი ევროპაა, მეორე ნაწილი კი აზია. ევროპის სახელმწიფოებია:

ისაუბრეთ. გამოიყენეთ სიტყვები:

სახლვარი  
დარღვევა  
ვიზა  
საეიზო რეჟიმი  
პასპორტი  
უცხოეთის პასპორტი  
პირადობის მოწმობა



## 2. მოუსმინეთ: Dinlayin:

ინგლისი (დიდი ბრიტანეთი) გერმანია  
 ჩეხეთი საბერძნეთი ავსტრია  
 საფრანგეთი პოლონეთი სლოვაკეთი  
 ნორვეგია უნგრეთი იტალია ესპანეთი  
 ბულგარეთი ფინეთი  
 პორტუგალია ირლანდია



3. მიუთითეთ, რომელი ქვეყანაა და დაასახელეთ, ევროპის რომელ მხარესაა ეს ქვეყანა – ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით.

Hansi ölkə oldugunu adlandırın və isarə edin. Bu ölkə Avropanın hansı qütbündə yerləşir - Şimal, şərq cənub,qərb




საფრანგეთი



ინგლისი



ესპანეთი



ავსტრია



საბერძნეთი




იტალია

საქართველოს რესპუბლიკა  
 ქ. თბილისი  
 ყიფშიძის ქ. № 21, III სართ. ბ. 11  
 აბაშიძე ზურაბს

4. აზიაში ბევრი სახელმწიფოა:

ირანი	სირია	ინდოეთი	ჩინეთი
თურქეთი	ვიეტნამი	ერაყი	
ავღანეთი	იაპონია	ტაივანი	
პაკისტანი	ნეპალი	მონღოლეთი	
კორეა	ღაოსი	ბირმა	




5. მოუსმინეთ:

მე მოგზაურობა ძალიან მიყვარს. ვყოფილვარ ბევრ ქვეყანაში. ყველაზე მეტად იტალია მომეწონა. იტალიელები საოცარი ხალხია. რაღაცით კავკასიელებსაც პგვანან. რომი... ო, რომი ძალიან ლამაზია. ისტორიაც და თანამედროვეობაც ამ ქალაქისა შეუდარებელია. კიდევ? კიდევ ინგლისი მომეწონა. ღონღონი ლამაზია... ლამაზია, მაგრამ თითქოს ცივია. მე რომ ვიყავი, სულ ღრუბლიანი დღეები იყო, მაგრამ არ წვიმდა...

ო, მოგზაურობა ძალიან მიყვარს...




1. რაზეა საუბარი ტექსტში?
2. რომელ ქვეყნებშია ავტორი ნამყოფი?
3. რომელი ქვეყანა მოეწონა ყველაზე მეტად?



4. რომელი ქვეყნის წარმომადგენლები მოსწონს? რატომ?
5. როგორი ამინდებია ხშირად ინგლისში?
6. რა არის მისი პოზი?

6. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩნდება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები:



საქართველო სომხეთი აზერბაიჯანი  
 რუსეთი ლიტვა ლატვია ესტონეთი  
 თურქმენეთი უზბეკეთი ტაჯიკეთი  
 უზბეკეთი ყირგიზეთი უკრაინა  
 ბელარუსი მოლდოვა

რუსეთის ფედერაცია უდიდესი სახელმწიფოა.

**ისაუბრეთ: Danışın**

რომი - იტალია

ვარშავა - პოლონეთი

პარიზი - საფრანგეთი

ოტავა - კანადა

**დედაქალაქი**

მადრიდი - ესპანეთი

ბერლინი - გერმანია

ვენა - ავსტრია


ათენი - საბერძნეთი

## ბაკვეთილი 2

### Dars 2

1. ამერიკა დასავლეთ ნახევარსფეროშია.

ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებია:



კანადა პანამა მექსიკა ამერიკის  
შეერთებული შტატები გვატემალა  
სალვადორი  
ნიკარაგუა კოსტა-რიკა

2. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებია:

ბრაზილი არგენტინა ჩილე  
პეკადორი ბოლივია ვენესუელა  
პერუ პარაგუაი ურუგვაი  
კოლუმბია



ისაუბრეთ :

სოფია - ბულგარეთი

დუბლინი - ირლანდია

ბუდაპეშტი - უნგრეთი

ლონდონი - ინგლისი

ამსტერდამი - ჰოლანდია

ოსლო - ნორვეგია


ჰელსინკი - ფინეთი

დედაქალაქი


ამერიკის კონტინენტის უდიდესი სახელმწიფოებია:



ყველაზე დიდია კანადა.



3. აფრიკის კონტინენტი აღმოსავლეთ ნახევარსფეროშია. აფრიკის კონტინენტზე უამრავი სახელმწიფოა:



ეგვიპტე ალჟირი წადი ნიგერია  
 ღიბია სუდანი ანგოლა ნიგერია  
 კამერუნი


**ისაუბრეთ :**

თბილისი - საქართველო

ერევანი - სომხეთი	<div style="border: 1px solid black; border-radius: 50%; width: 60%; height: 60%; margin: 0 auto; display: flex; align-items: center; justify-content: center;"> <span style="font-size: 1.2em; font-weight: bold;">დედაქალაქი</span> </div>	ვილნიუსი - ლიტვა
ტაშკენტი - უზბეკეთი		ბაქო - აზერბაიჯანი
აღმა-ატა - ყაზახეთი		მინსკი - ბელორუსი
	კიევი - უკრაინა	

4. ავსტრალია კონტინენტი-სახელმწიფოა. ავსტრალიის კონტინენტზე მხოლოდ ერთი სახელმწიფოა, რომელსაც ასევე ავსტრალია ჰქვია.

ავსტრალიასა და აზიას შორის უამრავი კუნძულია. ამ კუნძულებზე არის სახელმწიფო, რომელსაც ინდონეზია ჰქვია.



5. დედამიწის სამხრეთით არის ანტარქტიდა. იგი ყინულითაა დაფარული და დაუსახლებელია.



**6. დაიმახსოვრეთ:**

სინონიმები ერთი ან ძალიან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა სიტყვებია. სინონიმების არსებობა ენას ამდიდრებს.

Sinonimler bir və yaxud eyni mənanı ifadə edən nüxtəlif sözlərdir. Sinonimler dili zənginləşdirir.

სინონიმებია:

ბევრი // უამრავი


**ისაუბრეთ:**  
კომინიოვი - მოლდავეთი

ტაღინი - ესტონეთი	რიგა - ლატვია
პრალა - ჩეხეთი	დუშანბე - ტაჯიკეთი
დედაქალაქი	
ვაშინგტონი - აშშ	ბუენოს-აირესი - არგენტინა



7. დაასახელეთ ამ სახელმწიფოების სახელები: რომელ ნახევარსფეროშია, რომელ მხარესაა (ჩრდილოეთით, სამხრეთით).

Bu ölkələrin adlarını söyləyin. Hansı yarımkürədə, hansı qütbədə yerləşir (şimal, qərb)



ისაუბრეთ:

თეირანი - ირანი

დამასკო - სირია

პეკინი - ჩინეთი

თელ-ავივი - ისრაელი

დედაქალაქი

ანკარა - თურქეთი

დელი - ინდოეთი

ციურიხი - შვეიცარია

# ბაკვეთილი 3

## Dars 3



### 1. დიალოგი

- გამარჯობა, გიორგი!
- გაგიმარჯოს, არმენ!
- როგორა ხარ?
- კარგად. შენ?
- გმადლობ, მეც კარგად ვარ.
- არმენ! შენი ძმა სად ცხოვრობს?
- ჩემი ძმა ამერიკაში ცხოვრობს.
- და სადაა?
- და ინგლისში სწავლობს.
- მათ ოჯახები ჰყავთ?





A4

- კი, ჩემს ძმას ჰყავს ცოლი და ორი შვილი. ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ, ლოს-ანჯელესში. იქ საკუთარი სახლი აქვთ. ჩემს ძმას მანქანა ჰყავს. ცოლსაც კარგად ცხოვრობენ.

- დას ოჯახი ჰყავს?
- არა, მაგრამ ჩემს დას საქმრო ჰყავს. ისინი უნივერსიტეტში ერთად სწავლობენ. სამსახური ჯერ არა აქვთ.
- ძალიან კარგი. შენს და-ძმას მოკითხვა გადაეცი.
- გმადლობთ.
- კარგად იყავი, არმენ!

რომელი ქვეყანაა? გამოიცანით და დაასახელეთ:





2. დაიმახსოვრეთ:

მომიკითხე = მოკითხვა ბაღაუცი - სინონიმებია



3. მოისმინეთ. გამოიცანით, რომელ ქვეყანაზეა საუბარი.

Dinləyin və tapun, hansı ölkədir.

- I. ეს ქვეყანა კუნძულებზეა. იგი უძლიერესი სახელმწიფო იყო და ჰქონდა ბევრი კოლონია – მსოფლიოში უდიდესი კოლონიალისტური ქვეყანა იყო. ჰქვია ორი სახელი. დღესაც მას სამეფო დინასტია მართავს. ჰყავს დედოფალი. ამ ქვეყანაში ცივი კლიმატია. ხშირადაა ნისლი და ღრუბელი.
- II. ეს სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზეა. ჰყავს მსოფლიოში საუკეთესო საფეხბურთო გუნდი. სახელგანთქმულია ცეკვის ესტივალებით. აქ უდიდესი ჯუნგლებია და მოდის კარგი ყავა.
- III. უდიდესი ისტორიის ქვეყანაა. უძველესი იმპერია. ქვეყანა ნახევარკუნძულზეა. აქაურებს უყვართ მაკარონი და პიცა. ჰყავთ კარგი ფეხბურთელები.
- IV. ეს ქვეყანა აღმოსავლეთშია, კუნძულზე. პატარაა, მაგრამ მსოფლიოში უძლიერესი ტექნიკა აქვთ. ტრადიციული ქვეყანაა. გამორჩეულად უყვართ ეროვნული ტანსაცმელი. კუნძულზე ხშირია მიწისძვრები.






4. დაიმახსოვრეთ:

აქ – იქ

აქაური – იქაური

რომელი ქვეყანაა? გამოიცანით და დაასახელეთ:





5. მეხსიერების სავარჯიშო: გაიყმა:



გააგრძელეთ დახასიათება უკვე ნასწავლი ქვეყნებისა. შეძლებისდაგვარად ახასიათებს ერთი მსმენელი. გამოიყენებს მეორე (მონაცვლეობით).

Öyrəndiyiniz ölkələri təhlil edin. Biri təhlil edir digəri tapir (yerlərini dəyişməklə)



ააგეთ თქვენი აზრი ამ მონაცემების მიხედვით:

Verilmişlər əsasında düşüncələrinizi qurun.

- როგორია ტერიტორიულად ეს ქვეყანა? დიდი თუ პატარა? კუნძულზეა თუ კონტინენტზე? ჩრდილოეთით თუ სამხრეთით? რომელ ნახევარსფეროშია?
- Ərazisinə görə necə ölkədir? Böyük yoxsa balaca? Kontinentdədir yoxsa adada? Hansı yarımküredədir? Hansı qütbədir?
- რა იცით მისი ისტორიიდან?

Onun tarixi haqqında nə bilirsiniz?:

- როგორია მისი ტრადიციები? Onun əhəmələri haqqında danışın?:
- რა გამორჩეული თვისებები ახასიათებთ ამ ერის წარმომადგენლებს?

Bu millətin xüsusiyyətlərini fərqləndirən nədir?

- ნაციონალური საჭმელების შესახებ რა გსმენიათ?


Müllü xərəklər haqqında nə eşitmişiniz?

- კულტურა
- Mədəniyyət
- ბუნება.

Təbiət

6. დაახასიათეთ თქვენი ქვეყანა. ისაუბრეთ მასზე და დაწერეთ თემა.

Ölkənizi adlandırın. Onun haqqında danışın və mətn yazın.



# თემა 11

## Mövzu 11

### ბანემორება და შეჯამება

Təkrar etmək

### ბაკვეთილი 1

Dərs 1



1. გაიხსენეთ ყ ბგერის შემცველი სიტყვები და ფრაზები. წარმოთქვით სწორად.

Y səsinə əhatə edən sözləri yadıma salın və sözləri düzgün tələffüz edin.

2. შეაერთეთ ფრაზები:

Sözləri birləşdirin:

დილა მშვიდობისა!

მაპატიეთ.

გამარჯობა!

მოკითხვა გადაეცით.

როგორა ხართ?

ღამე მშვიდობისა!

ნახვამდის!

როგორ ბრძანდებით?

მადლობელი ვარ.

კარგად ბრძანდებოდეთ!

გამარჯობა!

გმადლობთ.

ღამე მშვიდობისა!

მომავალ შეხვედრამდე!

არაფრის.

არა მიშავს.

გმადლობთ, კარგად..

კარგად ბრძანდებოდეთ!

არა უშავს.

დილა მშვიდობისა!



3. შეარჩიეთ სწორი ფრაზები: Düzgün olan cümlələri seçin:

I. მე მაქვს ხუთი ბურთები.

მე მაქვს ხუთი ბურთი.

მე მყავს ხუთი ბურთი.

II. მე ხარ მასწავლებელი.

მე ვართ მასწავლებელი.

მე ვარ მასწავლებელი.

III. მე მყავს დედ-მამა.

მე მაქვს დედ-მამა.

მე მყავს დედ-მამები.

IV. ეზოში უამრავი ბავშვებია.

ეზოში უამრავი ბავშვია.

ეზოში უამრავი ბავშვი არიან.

V. ეს წიგნები ჩემია.  
ეს წიგნები არიან ჩემი  
ეს არის წიგნები ჩემი.



4. ჯერ ისაუბრეთ, მერე დაწერეთ თემა: წელიწადის დროები.  
Önce konuşun, sonra ilin fasilləri mövzusunı yazın.



5. მოისმინეთ:

1. რის შესახებაა ტექსტი?
2. თქვენი აზრით, რომელ დროზეა საუბარი?
3. რაღორი ამინდია?

# გაკვეთილი 2

## Dars 2



1. დაასახელოთ თარიღი:

Tarixi qeyd edin:

14. 02. 1998 წ.

17. 05. 1912.წ.

24. 02. 1792 წ.

XX საუკუნე.

XIV საუკუნე.





2000 წელი.

785 წელი.


.....



2. რომელი საათია?



3. რა არის ეს?





4. დაასრულოთ წინადადება: Cümlələri tamamlayın

- მე ვჭამ (ხილი).
- მე ვსვამ (ბორჯომი).
- მე არ ვსვამ (ღვინო).
- ჩემი ძმა არ ჭამს (ხორცი).
- შენ ჭამ ბევრ (ხილი).
- მე (წყალი) (ჭიქა) ვსვამ.
- საჭმელს (დანა-ჩანგალი) ვჭამ.



5. ჯგუფი გაიყოს ორად. ასახელებენ საქართველოს ქალაქებს, მსოფლიოს ქვეყნებს, ენებს, რომელიც ველარ დაასახელებს, ის ჯგუფი წაგებულია.

Grup uki hissəyə bənlünür. Gürcüstanın şəhərlərini, dünyanın ölkələrini, dillərini adlandırırlar. Adlandıra bilməyən məğlud olur.



6. მოისმინეთ:



7. შეადგინეთ ამგვარი განცხადებები.

## ბაკვეთილი 3

### Dərs 3



1. ჩამოთვალეთ მისაღმების, გამომშვიდობების, მოკითხვის და ა. შ. თავაზიანი ფორმები.

Salamlaşmanın, vıdalaşmanın, əhval – ruhiyyə sormanın nəzakətli formalarını adlandırın.



2. დაწერეთ თქვენს შესახებ. გამოიყენეთ ზმნები: დავიბადე, ვცხოვრობ, ვმუშაობ, ვსწავლობ, მომწონს, მიყვარს, ვაპირებ.

Öz haqqınızda yazın. Fəllərdən istifadə edin:



3. აღწერეთ წელიწადის ის დრო, რომელიც ახლაა. რა ხდება?

Fəslin hazırkı zamanını təsvir edin. nə olur?



4. ჩამოწერეთ რამდენი სიტყვაც გაგახსენდებათ:

Xatırladığınız sözləri yazın:

სასმელი	საჭმელი	ამინდი	პროფესია



5. ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ თემა: „ერთი საღამო რესტორანში“.

Verilmiş sözlərdən istifadə etməklə mövzu yazın.

რესტორანი	თავისუფალი	ადგილი	მენიუ	სადილი	სასმელი	ღარი
გუშინ	საჭმელი	შეკვეთა	მუსიკა	ძალიან	კარგი	გემრიელი
მეგობრები	დაკავებული	საღამოს	ფასები	ძვირი	თეთრი	



6. მოისმინეთ:



7. შეადგინეთ ამგვარი განცხადებები.

# თემა 12

Mövzu 12

## ბაკვეთილი 1

### Dərs 1



1. გავიმეოროთ და ვისწავლოთ ახალი ფორმები:

Təkrar edək və yeni formalar öyrənək:

ძვეყანა	წარმოშობენული (ადაშიანი)		აროღუშტი (საბანი)
	-ელ	უნიშნო	-ურ (ულ)*
საქართველო	ქართველი	-	ქართული
სომხეთი	-	სომეხი	სომხური
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანელი	-	აზერბაიჯანული
რუსეთი	-	რუსი	რუსული
უკრაინა	უკრაინელი	-	უკრაინული
საფრანგეთი	-	ფრანგი	ფრანგული
ინგლისი	ინგლისელი	-	ინგლისური
საბერძნეთი	-	ბერძენი	ბერძნული
გერმანია	გერმანელი	-	გერმანული
ჩეხეთი	-	ჩეხი	ჩეხური
იტალია	იტალიელი	-	იტალიური
თურქეთი	-	თურქი	თურქული
ამერიკა	ამერიკელი	-	ამერიკული

შეაერთეთ; რა ცვლილებები ხდება სიტყვებში?

ჩინეთი

ნორვეგია

არგენტინა

მექსიკა

ბრაზილია

+

-ულ-ი

თუ


-ურ-ი

\* თუ ფუძეში არის -რ- ბგერა, მაწარმოებელი იქნება -ულ(-ურ → -ულ).  
 Əgər sözlün kökündə -r- samit varsa sözdüzəldici şakilçi – ul (-ur –ul) olacaq.



2. დიალოგი:

- გამარჯობათ!
- გამარჯობა!
- თქვენ ამ სახლში ცხოვრობთ?
- დიახ, ამ სახლში ვცხოვრობ.
- მე ჩემს ნაცნობს ვეძებ, ხომ ვერ დამეხმარებით?
- დიდი სიამოვნებით.
- ჩემი ნაცნობი სომეხია, ცოლი კი რუსი ჰყავს.
- რომელ ქუჩაზე ცხოვრობს?
- არ ვიცი.
- არც სახლი იცით?
- არა.
- რა ჰქვია თქვენს ნაცნობს?
- ჩემს ნაცნობს არმენი ჰქვია, ცოლს კი მარია.
- შვილები ჰყავთ?
- კი, შვილები ჰყავთ, ლევონი და ანა. ლევონი სტუდენტია, ანა კი მოსწავლე.
- მე მყავს სომეხი მეზობელი, მაგრამ მას არმენი არ ჰქვია. იმ სახლთან იკითხეთ!
- გმადლობთ!
- არაფრის.



რა დაბოლოება აქვს ამ ქვეყნების წარმომადგენელთა სახელს?

Bu ölkənin nümayəndələrinin adlarının sonluğu nədir?

- ბელორუსია
- ტაჯიკეთი
- ლიტვა
- უზბეკეთი
- ყირგიზეთი
- ლატვია
- ესტონეთი

+

-ელ-ი
თუ
-ო



3. მოუსმინეთ ტექსტს:



- I. რაზეა აქ საუბარი?
- II. ჯგუფი გაიყოს ორად. ერთმა დასვას კითხვები ტექსტის შესახებ, მეორემ უპასუხოს.
- III. უცხო სიტყვები გაარჩიეთ კლასში.



4. გაგიმეორეთ და დაგიმახსოვროთ ახალი ანტონიმები:

აქ – იქ  
 აქაური – იქაური  
 ეს – ის  
 ეს (სახლი) – ის (სახლი)  
 ამ (სახლში) – იმ (სახლში)

რით გინდათ სამოგზაუროდ წახვლა?

ველოსიპედით



ავტობუსით



მოტოციკლეტით



მატარებლით



ფეხით

## გაკვეთილი 2

### Dars 2



#### 1. დიალოგი:



- გამარჯობა, გიორგი. რამდენი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხარ.
- გამარჯობა. მართლა დიდი ხანია, თქვენთან არ ვყოფილვარ.
  - რატომ?
  - ესპანელი სტუმრები მყავს.
  - თქვენი ნათესავები არიან თუ ნაცნობები?
  - არმენი ჩვენი ნათესავია, ესპანელი ცოლი მოიყვანა. მას ანუელა ჰქვია.
  - მხოლოდ ცოლ-ქმარი გყავთ სტუმრად?
  - არა, არმენის ძმაცაა, მას ინგლისელი ცოლი ჰყავს.
  - ძალიან დაკავებული ყოფილხარ.
  - მართალია, ძალიან დაკავებული ვარ.
  - აბა, კარგად იყავი.
  - კარგად იყავით. მომიკითხეთ ყველა.



#### 2. დავიმახსოვროთ:

- I. რამდენი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხარ.  
დიდი ხანია თქვენთან არ ვყოფილვარ.
- II. დაკავებული ყოფილხარ.  
დაკავებული ვარ.

რით გინდათ სამოგზაუროდ წასვლა?

ვერტმფრენით




დელტაპლანით



გადაადგილება ჰაერში

თვითმფრინავით



3. დიალოგი.



3. დიალოგი:

- გიყვარს მოგზაურობა?

- ძალიან.

- ყოფილხარ საზღვარგარეთ?

- კი, რამდენჯერმე ვყოფილვარ.

- სად?

- ბიძასთან, ნიუ-იორკში.

- მოგეწონა ნიუ-იორკი?

- ძალიან მომეწონა. ეს მსოფლიოს უდიდესი ქალაქია, ცათამბჯენებით და ფართო ქუჩებით.

- როდის იყავი იქ?

- ორი წლის წინ.

- პარიზში ნამყოფი ხარ?


- არა, პარიზში არ ვყოფილვარ.

- ლონდონში?

- არც ლონდონში არ ვყოფილვარ.

- იმედია, წახვალ.

- იმედია. მე მოგზაურობა ძალიან მიყვარს.



იმედია

- სიტყვა, რომელიც გამოხატავს მომავალში მოსახდენ და სასურველ მოვლენას.



კითხვები: ყოფილხარ? ნამყოფი ხარ?

პარალელურად იხმარება. ამ კითხვებზე გაიცემა პასუხები: ვყოფილვარ, ნამყოფი ვარ.

რით გინდათ სამოგზაუროდ წახვლა?


[



გემით



ნავით



ტივით

გადაადგილება ზღვით



4. დაუკვირდით, როდის გამოიყენება ყოფილხარ (შენ) და როდის – იყავი (შენ) ფორმები.

ყოფილხარ – გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს.  
 üzaq keçmişdə olan hərəkətin icrasını bildirir.

იყავი – გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებას.  
 keçmişdə olan hərəkətin icrasını bildirir.



5. სწორია თუ არა ფრაზა: Cümlənin doğru və yaxud yanlış olduğunu qeyd edin?

დიდი ხანია ჩვენთან არ იყავი.

დიდი ხანია ჩვენთან არ ყოფილხარ.

როდის იყავი ამერიკაში?

როდის ყოფილხარ ამერიკაში?

როდისმე ყოფილხარ ამერიკაში?

ორი წლის წინ ეიყავი ამერიკაში.

ორი წლის წინ ვყოფილვარ ამერიკაში.



6. შეადგინეთ წინადადებები და სწორად გამოიყენეთ ვიყავი და ვყოფილვარ ფორმები.

რომელი სუფიქსი დაერთვის? Hansı şəkilçi əlavə olunur?

რუმინეთი

უნგრეთი

იტალია


პორტუგალია

მონღოლეთი



-ურ

-ულ



-ი





7. მოისმინეთ:

ქარი გიმღერის ნანასა,  
 ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...  
 ძეწნამ ალერსით ამავსო  
 ეჭვებით ნაავადარი...  
 საქართველოო ლამაზო,  
 „სხვა საქართველო სად არი?“


მინდვრები, ქართლის მინდვრები,  
 ქედები მხარგაშლილები...  
 მთაში – ტყე დანაბინდები,  
 ტყეში – ქორბუდა ირმები...  
 ბარად შრიალებს ჭადარი,  
 მზეს უმღერიან ჩიტები...  
 მხარეე მოსილო დიდებით,  
 „სხვა საქართველო სად არი?“

ქარი გიმღერის ნანასა,  
 ზღაპარს გაიმბობს ჭადარი...  
 ძეწნამ ალერსით ამავსო  
 ეჭვებით ნაავადარი...  
 საქართველოო ლამაზო,  
 „სხვა საქართველო სად არი?“

ანა კალანდაძე

რომელი სუფიქსი დაერთვის? Hansı şəkilçi əlavə olunur?

- უკრაინა
- პოლონეთი
- ჩეხეთი
- სლოვაკეთი
- იაპონია



# ბაკვეთილი 3

## Dars 3



1. დიალოგი:



რჩევის საკითხავად

- გამარჯობათ, ბატონო დავით!
- გამარჯობათ, თამარ, როგორ ბრძანდებით?
- გმადლობთ, კარგად, ბატონო დავით. მე თქვენთან შეკითხვა მაქვს.
- ბრძანეთ!
- მოგახსენებთ, ბატონო დავით.  
თქვენ იურისტი ბრძანდებით და ალბათ იცით, რა არის საჭირო საზღვარგარეთ წასასვლელად.
- ენები იცით?
- ქართული კარგად ვიცი, რუსული და სომხურიც ვიცი. ცოტა გერმანულიც. ინგლისური კარგად არ ვიცი. ფრანგული კი სულ არ ვიცი, არც ესპანური.
- სად გინდათ წასვლა?
- გერმანიაში.
- ჩვენთან არის ენის შემსწავლელი კურსები. ვინც უცხოეთში მიდის, იქ სწავლობს უცხო ენას.
- ძალიან კარგი. დიდი მადლობა.
- არაფრის. კარგად ბრძანდებოდეთ. გისურვებთ წარმატებას.
- გმადლობთ, ნახვამდის.

ხარ - ხართ - ბრძანდებით  
 თქვი - თქვით - ბრძანეთ  
 მიდი - მიდით - მიბრძანდით  
 გამტყვი - გემტყვით - მოგახსენებთ

რომელი სუფიქსი დაერთვის?

ბელგია  
შოტლანდია  
რუსეთი  
სომხეთი  
საქართველო

-ურ

-ულ

-ი



2. დაიმახსოვრეთ:

ხარ, თქვი, მიდი - მიმართვის ჩვეულებრივი ფორმებია. თავაზიანობას ამ ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმები გამოხატავენ: ხართ, თქვით, მიდით.

თავაზიანობას და, ამასთან ერთად, განსაკუთრებულ პატივისცემას გადმოსცემს ფორმები: ბრძანდებით, ბრძანეთ, მიბრძანდით.

სინონიმებია: საზღვარგარეთ ანუ უცხოეთში

3.



ინგლისური  
რუსული  
გერმანული  
ფრანგული  
ქართული  
სომხური



ენა



ჩვეუმი გაიყოს ორ ნაწილად და გაესაუბრეთ ერთმანეთს რამდენიმე თემაზე:

- ა) რომელი ენები იცით?
- ბ) სად გინდათ წასვლა, მოგზაურობა?
- გ) რომელი ქვეყნის პროდუქცია მოგწონთ?
- დ) რომელი ერის წარმომადგენლები გყავთ ნაცნობები?



# თემა 13

## Mövzu 13

### ბაკვეთილი 1

#### Dərs 1



1. ისაუბრეთ თქვენი ქალაქის შესახებ. დაწერეთ.

Öz şəhəriniz haqqında danışın və yazın.



2. დიალოგი ქუჩაში.



- გამარჯობათ!
- გამარჯობათ!
- აბაშიძის ქუჩა სად არის, ახლოსაა თუ შორს?
- შორს არაა, ახლოსაა, ფეხით მიხვალთ.
- როგორ მივიდეთ იქ?
- მიბრძანდით პირდაპირ, შემდეგ მარჯვნივ. იქ პატარა ბაღია, ბაღის ზემოთ, მარცხენა მხარეს იწყება ეს ქუჩა.
- გმადლობთ!
- არაფრის!
- თუ შეიძლება, ისიც მითხარით, რომელი საათია?
- სიამოვნებით. ახლა ხუთის ოცი წუთია.

მიბრძანდით,

მობრძანდით.

მი-

მო-


ვის როგორ მიმართავენ?



ხარ - ხართ - ბრძანდებით  
 თქვი - თქვით - ბრძანეთ  
 მიდი - მიდით - მიბრძანდით  
 გაუწყვი - გაუწყვით - მოგახსენებთ

- გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!
- კარგად ბრძანდებოდეთ!


3.



4. დაიმახსოვრეთ ანტონიმები: Antonimləri yadda saxlayın:

- ძველი – ახალი
- köhnə - taze
- ვიწრო – განიერი
- dar – enli
- ახლოს – შორს
- yaxın – uzaq
- ზემოთ – ქვემოთ
- yuxarı – aşağı
- მარჯვნივ – მარცხნივ
- sag – sol


აღწერეთ სურათი:





5. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით. დაწერეთ.

Bu sözlərin vasitəsi ilə cümlələr qurun



6. ამ პირამიდის მიხედვით მოგვაწოდეთ მონაცემები თქვენს შესახებ. დაწერეთ.

Bu piramidaların vasitəsi

ilə özünüz haqqında

məlumat verin. Yazın

მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ.


ვცხოვრობ საქართველოში.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი.

საქართველოს ქალაქია ბოლნისი.

.....

ისაუბრეთ:



ფაქსი

## ბაკვეთილი 2

### Dars 2

1. ალის დედა ავადაა, მამა კი მივლინებაშია. დედასთან ექიმი უნდა მოვიდეს. დედას ორი გადაუღებელი საქმე აქვს – ქალაქის სადგურში და იურიდიულ კონსულტაციაში.

უცხოეთიდან ნათესავი ჩამოდის და მას სადგურში უნდა დახვდნენ. გუშინ დეპეშა მიიღეს:

მატარებელი წხრა საათზე იქნება სადგურში. დიდი ხანია, თქვენთან არ ვყოფილვარ. მენატრებით. იმედია, მალე გნახავთ.

ანასტასია

ალიმ გადაწყვიტა: ჯერ იურისკონსულტთან, მერე კი – სადგურში; მაგრამ ალიმ არ იცის, სად არის იურიდიული კონსულტაცია. დედამ ალის წერილი და გეგმა მისცა.

ისაუბრეთ:



ზაჭონო ღავეით!


ჟუარავად, მე ავად ვარ და თქვენთან  
მოსვლა არ შემიძლია.

სურათი გამოაჭანეთ ალის. წინასწარ გიხდით  
მადლობას.

თამარი.

15. 02. 2002

გეგმა



ამ სიტყვების გამოყენებით დაწერეთ პატარა წერილი:

მენატრებით

გამარჯობა

როგორ ხართ?

გწერ

მომიკითხე

წინასწარ

გიხდით

მადლობა

ნახვამდის



2. დავალება:

ამ გეგმის მიხედვით:

- I. როგორ მიხვალთ სახლიდან სადგურამდე?
- II. როგორ მიხვალთ სახლიდან სკოლამდე?
- III. როგორ მიხვალთ სკოლიდან საავადმყოფომდე?
- IV. როგორ მიხვალთ სკოლიდან უნივერსიტეტამდე?

გამოიყენეთ სიტყვები:

მარჯვნივ

დაღმართი

მარცხნივ

პირდაპირ

წინ

მოსახვევი

უკან

აღმართი

კუთხე (კუთხეში)



3. ყურადღება მიაქციეთ:


სუბიექტი ამ ზმნებთან მოთხრობით ბრუნვაშია:

Subyekt bu fellərlə adlıq haldadır:

იცის

გადაწყვიტა

მისცა




მან



4. მოისმინეთ:

ისაუბრეთ:

საფონტო ყუთი



## ბაკვეთილი 3

### Dars 3


#### 1. უპასუხოთ კითხვებს: Suallara cavab verin:

ა. მივიწერიათ წერილი ვინმესთვის?

**Kimə isə məktub yazıbsınız?**

ბ. ხშირად წერთ წერილებს?

**Tez – tez məktub yazırsız?**



**შენიშვნა:** წერილი ორგვარი არსებობს: პირადი და ოფიციალური. პირადი წერილი იწყება იმ პიროვნების (და მისი ოჯახის) მოკითხვით, ვისაც ვწერთ. ძირითად ნაწილში მთავარი სათქმელი ანუ თემაა, ბოლოს კი ისევ მოკითხვით ან დამშვიდობების ფრაზებით სრულდება. რა თქმა უნდა, ეს საეკლდებულო სქემა არ არის: პირადი წერილი მაინც ისე იგება, როგორც ეს მის დამწერს სურს. ოფიციალური წერილები კი ძირითადად ორგანიზაციებში იგზავნება, ამიტომ არსებობს გარკვეული ფორმა – შაბლონი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველამ უნდა დაიცვას.

**Əlavə:** məktubun iki forması var. Şəxsi və məlumat bildirən. Şəxsi məktub həmin şəxsin və ailəsinin əhval – ruhiyyəsinin söğusu ilə başlanır. Əsas hissəsi deyiləcək və mövzudan ibarətdir. Məktubun sonu usə vidalaşma cümlələri ilə bitir. Əlbəttə, bu məcburi struktura deyil: Şəxsi məktub yazanın istəyi əsasında qurulur, məlumat bildirən məktublar əsasən təşkilatlara göndərilir ki, bunun da xüsusi forması mövcüddür.

ისაუბრეთ :


დაზღვეული სახილვი

2. ალი ბოლნისში ცხოვრობს, მაგრამ ახლა თბილისშია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს სამართალმცოდნეობის ანუ იურიდიულ სპეციალობაზე. მისი ნათესავეები ამერიკაში ცხოვრობენ და ზაფხულში ახალქალაქში *ისვენებდნენ*.

ახლა ალი წერილს *სწერს* ჯორჯს:

გაძარტობა, კორჯ!  
 როგორ ხარ? შენი ოჯახი როგორაა?  
 ამ წერილს ახლა თბილისში ვწერ. ექვსი თვეა უკვე აქ ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ. ახალქალაქში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. თბილისი ძალიან მომწონს, ლამაზი ქალაქია. ძველი თბილისი კი ულამაზესია. აღმათ ბევრი რამ გაინტერესებს ამ ქალაქის შესახებ.  
 თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ის უდიდესი ქალაქია საქართველოში. აქ მილიონ-ნახევარი ადამიანი რეზიდირებს. თბილისში მრავალი ისტორიული ადგილია. ქალაქში ბევრი პარკი და სკვერია, სადაც თბილისელები ისვენებენ.  
 თბილისის შესახებ ულამაზესი ლეგენდა არსებობს. ამ ქალაქის მშენებლობა ვახტანგ გორგასალმა დაიწყო მეხუთე საუკუნეში. ლეგენდა კი ასეთია: ვახტანგ გორგასალი ერთხელ მსახურებთან ერთად სანადიროდ წავიდა. ხოხობს ისარი

ისაუბრეთ :



ესროლეს. დაჭრილი ხოხობი დაიკარგა. წოცა ხნის შემდეგ კი  
ქველ წყაროში ჩაგდებული იპოვეს. ვახტანგ გორგასალს ძალიან  
მოეწონა ეს ადგილი და აქ ქალაქის აშენება ზრძანა. სახელად  
თბილისი დაარქვეს, რაჟ ნიშნავს თბილი წყლის ადგილს.  
თბილისში ახლარჯა გოგირდის წყლის აბანოები, რომელიჟ  
მსოფლიოშია განთქმული.

თბილისში ზეკრი ძველი უბანია. აქაა ორსართულიანი ლამაზი  
ხის სახლეები საერთო ეზოებით, ვინრო ქუჩები, ეკლესიები.


თბილისში ახალი უბნებიჯა. აქ ძირითადად ერთნაირი  
მრავალსართულიანი სახლეებია და თბილისის მოსახლეობის დიდი  
ნაწილი ეხოვრობს. ახლა თბილისში უამრავი მალაზია, კაფე, ზარი  
და რესტორანია. თბილისი უფრო და უფრო ლამაზდება.

კარგად იყავი, შენჯ მომწერე. მომიკითხე შენი ოჯახი.

ალი

თბილისი, 2002 წლის 4 აპრილი

ისაუბრეთ:





3. დავალება:

I. მისწერეთ წერილი ვინმეს და წაუკითხეთ ჯგუფს.

Kiməisə məktub yazın və qrupa oxuyun.

II. მისწერეთ წერილები ერთმანეთს.

Bir – birinizə məktub yazın.



4. მოისმინეთ:

ამ სიტყვების გამოყენებით დაწერეთ პატარა წერილი:

საღამო როგორ ბრძანდებით? ოჯახი

ჩემი ქალაქი ძველი ქუჩა უბანი

შენც მომწერე მრავალსართულიანი ვიწრო

# თემა 14

## Mövzu 14

### ბაკვეთილი 1

#### Dars 1



#### 1. ოჯახი.

მე მყავს დედა და მამა. მე მათი შვილი ვარ. დედაჩემის დედა ჩემი ბებიაა. ასევე ბებიაა ჩემთვის მამაჩემის დედა. დედაჩემის მამა ჩემი პაპაა. პაპას სხვანაირად ბაბუასაც ეძახიან. მამაჩემის მამაც ჩემთვის პაპა ანუ ბაბუაა.


მე მყავს ერთი და და ერთი ძმა. დედაჩემის ძმა ჩემი ბიძაა, ხოლო და – დეიდა. მამაჩემის ძმაც ბიძაა, და კი – მამიდა. მე მყავს ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები.

მე უფროსი შვილი ვარ. შუათანა ჩემი ძმაა, ხოლო უმცროსი კი ჩემი და. ჩემი ძმა და და ჩემთვის დედამამიშვილები არიან. ჩემი მამიდაშვილი დედისერთაა, მას არა მყავს არც და და არც ძმა.

ბებიაჩემს მყავს სამი შვილი, ცხრა შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. ჩვენ მისი შთამომავლები ვართ. ჩვენი წინაპარი საქართველოში ცხოვრობდა.

ისაუბრეთ:





2. აღწერეთ თქვენი (ან თქვენი მეგობრის) ოჯახი. ვინ გყავთ უახლოესი ნათესავები?



3. ყურადღება მიაქციეთ:

თუ წინადადებაში სიტყვა (მეტწილად – ზმნა) გამოტოვებულია, მის ნაცვლად ტირე იწერება; ზეპირმეტყველებაში კი ამ დროს ოდნავი პაუზა იგრძნობა:

Әғәр cumlәdә sөz buraxılmışdırsa, onun әvәzinә tire yazılır. Şifahi nitqdә isә bu zaman bir – az fasılә hiss edilir.

„ცოლის დედას ჰქვია *სიდედრი*, ხოლო მამას – *სიმამრი*.“

ჰქვია

პიროვნების ფიზიკური მახასიათებლები:



კარგი აღნაგობის

დაბალი



მაღალი

მსუქანი



გამხდარი

## ბაკვეთილი 2

### Ծափ 2

#### 1. ცოლ-ქმრის ნათესავები




ვაჯიშვილის ცოლს რძალი ჰქვია, ხოლო ქალიშვილის ქმარს ჰქვია სიძე.

ქმრის ძმას ცოლისთვის ჰქვია *მაზლი*, დას კი – *მული*. დედაჩემს ერთი მაზლი და ერთი მული ჰყავს. დედაჩემის მაზლი ჩემი ბიძაა, ხოლო დედაჩემის მული ჩემი მამიდაა. ბიძაჩემის ცოლი და დედაჩემი რძლები არიან, ანუ მაზლის ცოლებს ერთმანეთისთვის რძლები ჰქვიათ.

ცოლის ძმას ქმრისთვის ჰქვია *ცოლისძმა*, დას კი – *ცოლისდა*. მამაჩემს ჰყავს ერთი ცოლისძმა და ერთი ცოლისდა. დების ქმრებს ერთმანეთისთვის ჰქვიათ *ქვისლები*. მამაჩემს ქვისლი ჰყავს, იგი დედაჩემის ქმარია.

ქმრის დედას ცოლისთვის ჰქვია *დედამთილი*, ხოლო მამას – *მამამთილი*. დედაჩემის დედამთილი და მამამთილი ჩემი ბებია და პაპაა.

ცოლის დედას ქმრისთვის ჰქვია *სიდედრი*, ხოლო მამას – *სიმამრი*. მამაჩემის სიდედრი და სიმამრი ჩემთვის ბებია და პაპაა.





2. აღწერეთ თქვენი ოჯახის სანათესაო წრე.

Qohumlarınızı təsvir edin.



3. უბასუხეთ ამ მონაცემებს და ისაუბრეთ საკუთარ თავზე ან თქვენი ნათესავების შესახებ:

Verilmişlərə cavab verin və öz haqqınızda ya qohumlarınız haqqında danışın:

სახელი –

გვარი –

მამის სახელი –

დაბადების წელი –

დაბადების ადგილი –

მისამართი –

ტელეფონი –

ასაკი –

ქორწინება –

სამსახური –

პიროვნების ასაკობრივი მახასიათებლები:



ჩვილი



ბავშვი



მოზარდი

# ბაკვეთილი 3

## Dars 3

### 1. არასისხლისმიერი ნათესალები

ჩემს ამხანაგს თამაზი ჰქვია. მას მამა არ ჰყავს. იგი *ობოლია*. დედამისი *მეორეჯერ გათხოვდა* და თამაზს ახლა *მამინაცვალი* ჰყავს. მამინაცვლისთვის თამაზი გერია. ხათუნას კი *დედინაცვალი* ჰყავს. დედინაცვლისთვის ხათუნაც გერია.

ჩემი და ოცი წლისაა. მას ჰყავს *საქმრო*. ჩემი და მისი *საცოლეა*, ისინი *დანიშნულები* არიან. მათი *ქორწილი* მალე იქნება.

ქალს, რომელსაც ქმარი ჰყავს, *გათხოვილი* ჰქვია, ხოლო ქალი, რომელიც ასაკოვანია და არ არის *გათხოვილი*, *გაუთხოვარი* ანუ *შინაბერაა*, *უცოლო* კაცს კი *ბერბიჭა* ჰქვია.

ჩემი მეგობრის, ოთარის მშობლები *გაყრილები* ანუ *განქორწინებულები* არიან. ოთარის მამას მეორე ოჯახი ჰყავს, მისი შვილები ოთარის *ნახევარდა* და *ნახევარძმა*. ოთარს ჰყავს დედით ერთი ძმა და მამით ერთი და-ძმა.



2. აღწერეთ თქვენი ნაცნობის ოჯახი.

Tanışınızın ailesini tasvir edin.



3. უპასუხეთ ამ მონაცემებს და ისაუბრეთ საკუთარ თავზე ან თქვენი ნაცნობის შესახებ.

Verilmişlere cavab verin və öz və ya tanışın haqqında danışın.

პიროვნების ასაკობრივი მახასიათებლები: Şaxsin yaş xüsusiyyətləri:



ზრდასრული



არასრულწლოვანი



სრულწლოვანი

გვარი \_\_\_\_\_  
სახელი \_\_\_\_\_  
პროფესია \_\_\_\_\_  
მშობლიური ქალაქი \_\_\_\_\_  
სამუშაო ადგილი \_\_\_\_\_  
ენა \_\_\_\_\_  
ოჯახი \_\_\_\_\_  
თავისუფალი დრო \_\_\_\_\_



#### 4. მოისმინეთ:

პიროვნების ასაკობრივი მახასიათებლები: Şəxsin yaş xüsusiyyətləri:



ასაკოვანი



ხანდაზმული






მოხუცი // ბებერი

თემა 15  
Mövzu 15

გაკვეთილი 1

Dərs 1


1.






დიალოგები ტელეფონით:





- გიორგის სთხოვეთ!
- სახლში არ გახლავთ.
- როდის იქნება?
- დარეკეთ ერთ საათში.



წა



წამო-



დიალოგები ტელეფონით:



- თუ შეიძლება, გიორგი მინდოდა!
- ვინ ბრძანდებით?
- მე მისი მეგობარი ვარ.
- დარეკეთ ნახევარ საათში.

გადა-



გადმო-



და-



2. გაიმეორეთ ამ ფორმათა მნიშვნელობები და შეადგინეთ წინადადებები.

Verilmişlərin mənasını təkrar edin və cümlələr qurun.



3. დიალოგი

გამარჯობა, ბაგრატ.

- გაგიმარჯოს, შოთა.
- როგორა ხარ?
- გმადლობ, კარგად. შენ?
- არა მიშავს, ნელ-ნელა. სტუმრები მყავს უცხოეთიდან.
- ვინ?
- ჩემი დეიდაშვილი თავისი ქმარ-შვილით და ჩემი ბიძაშვილი თავისი ცოლ-შვილით. რამდენიმე წლის წინ ჩემი დეიდაშვილი ინგლისში წავიდა სამუშაოდ. შემდეგ ქმარ-შვილიც გადავიდა იქ საცხოვრებლად. იქიდან საფრანგეთში



დიალოგები ტელეფონით:

- თუ შეიძლება, ქეთის სთხოვეთ!
- ვინ ხართ?.
- მისი კლასელი ვარ.
- ახლავე დაგუდახებ.
- გმადლობთ!

**ჩავიდნენ**, შემდეგ კი ამერიკაში **წავიდნენ**. ახლა იქ ცხოვრობენ.

- დიდი ხანია საქართველოში არ ყოფილან?
- კი, ორი წელია, ახლა **ჩამოვიდნენ** ჩვენთან სტუმრად.
- შენი ბიძაშვილი?
- ჩემი ბიძაშვილი ცოლ-შვილით ახალციხეში ცხოვრობს. ისინიც **წავიდნენ** უცხოეთში, მაგრამ მალე უკან **წამოვიდნენ**. ახლა რამდენიმე დღით **ჩამოვიდნენ** თბილისში ნათესავეების სანახავად.
- მოსწონთ თბილისი?
- კი, თბილისში ახლა ყველაფერი მოსწონთ. გუშინ კინოში **წავედით**, შემდეგ მალაზიეში **შევედით**. მთაწმინდაზეც **ავედით**, ქალაქბარეთაც **გავედით**.
- თეატრშიც იყავით?
- კი, თეატრში გუშინწინ ვიყავით და სახლში ძალიან გვიან **მოვედით**.
- როდის **მიდიან** შენი სტუმრები?
- ზეგ ახალქალაქში უნდა **ჩავიდნენ** ნათესავეებთან. ორ კვირაში კი ამერიკაში უნდა **წავიდნენ**.
- ძალიან დაკავებული ყოფილხარ.
- ჰო, დაკავებული ვარ.
- აი, ჩემი მეგობარი **მოვიდა**. კარგად იყავი.
- ნახვამდის. ოჯახი მომიკითხე.
- გმადლობ, შენც.



#### 4. მოისმინეთ:

დიალოგები ტელეფონით:



- გამარჯობათ, ეკატერინეს სთხოვეთ!
- მე მგონი, სხვაგან მოხვდით.
- მაპატიეთ... რა ნომერია?
- 32-17-24. თქვენ რა ნომერზე რეკავთ?
- 32-18-14 მაპატიეთ, ეტყობა, ნომრის აკრეფა შემეშალა...

# ბაკვეთილი 2

## Dars 2

### 1. თავისუფალი დრო



რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

თავისუფალ დროს



მიყვარს  
მომწონს



ტელეფონით ლაპარაკი.  
დღიურების წერა.  
თევზაობა.  
სეირნობა.  
წიგნის კითხვა.  
ტელევიზორის ყურება.  
მუსიკის მოსმენა.  
ქსოვა.  
კროსვორდების შევსება.  
მოგზაურობა.  
კარტის თამაში.  
ხატვა.  
ცურვა.  
კინოში წასვლა.  
ფეხბურთის თამაში.  
მაღაზიებში სიარული.  
ჭადრაკის თამაში.

ტელეფონით ვლაპარაკობ.  
დღიურებს ვწერ.  
ვთევზაობ.  
ვსეირნობ.  
წიგნს ვკითხულობ.  
ტელევიზორს ვუყურებ.  
მუსიკას ვუსმენ.  
ვქსოვ.

ჭადრაკს ვთამაშობ.  
კროსვორდებს ვაცხებ.  
ვმოგზაურობ.  
კარტს ვთამაშობ.  
ვხატავ.  
ვცურავ  
კინოში დავდივარ.  
მაღაზიებში დავდივარ.

ფეხბურთს ვთამაშობ.

დიალოგები ტელეფონით:



- უკაცრავად, ეს მერიაა?
- დიახ. ვინ გნებავთ?
- მე ბატონი დავითი მინდოდა.
- ბატონი დავითი ახლა გასულია, მოგვიანებით დარეკეთ.
- უკაცრავად.



2. ააგეთ ამ სქემის მიხედვით რამდენიმე თემა:

- I. როგორ ატარებთ თქვენ თავისუფალ დროს?
- II. როგორ ატარებენ თქვენი ოჯახის წევრები თავისუფალ დროს?
- III. როგორ ატარებენ თავისუფალ დროს თქვენი ნაცნობები?



სწორად გამოიყენეთ ზმნის პირიანი და უპირო ფორმები!



3. დიალოგი ტელეფონზე.

- ოჯახში როგორ ხართ?
- გმადლობთ, კარგად.
- თქვენი და როგორ არის?
- კარგადაა.
- სიძე ჩამოვიდა ესპანეთიდან?
- კი, ჩამოვიდა. იქ სამსახური არ ჰქონდა და წამოვიდა.
- მაზლი სად არის?
- მაზლი პორტუგალიაშია, იქ მუშაობს.
- მისი ცოლიც იქაა?
- არა, ჩემი რძალი აქაა. ბავშვებიც აქ არიან, სკოლაში სწავლობენ, ჩემი რძალი კი პედაგოგად მუშაობს სკოლაში.
- თქვენი მული?
- ჩემი მული თბილისშია გათხოვილი. იქ ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

დიალოგები ტელეფონით:



- ეს სკოლაა?
- დიახ. ვინ გინდათ?
- ქალბატონი ეკატერინე მინდოდა.
- ქალბატონი ეკატერინე ახლა გაკვეთილზეა. რა გადავცემ?
- გადავცით, რომ მისმა მეზობელმა მარიამმა დარეკა და აუცილებლად დამირეკოს.
- გადავცემ
- გმადლობთ!

- დედამთილ-მამამთილი თქვენთანაა?
- კი, ჩვენთან ცხოვრობენ.
- მოკითხვა გადაეცით.
- გმადლობთ, თქვენც მომიკითხეთ თქვენი ოჯახი.
- კარგად იყავით.
- კარგად.



#### 5. მოისმინეთ:

#### დიალოგები ტელეფონით

- გამარჯობათ, ცნობათა ბიუროა?
- დიახ, 09 გისმენთ.
- თუ შეიძლება, მითხარით ვახტანგ მაღლაკელიძის ტელეფონის ნომერი.
- სად ცხოვრობს?
- მელიქიშვილის 12 ნომერში, ბინა 21.
- მოითმინეთ... ჩაიწერეთ: 99. 12. 34
- დიდი მადლობა.
- არაფრის, გენაცვალებ.



## ბაკვეთილი 3

### Dərs 3



1. ა) პირველი გაკვეთილიდან აირჩიეთ ფორმები. დააჯგუფეთ იქითა მიმართულების და აქეთა მიმართულების ზმნისწინიანი ფორმები ცალ-ცალკე.


Birinci dərsdəki üsullrı seçin. O tərəfə olan istiqaməti və Bu tərəfə olan istiqaməti seçin fel önü olan formaları ayrı – ayrı seçin.

- ბ) რომელი ზმნისწინი აძლევს ამ ფორმებს აქეთა მიმართულების მნიშვნელობას?  
Bu tərəf istiqamətini bildirən felin ön şakilçisi hansıdır?:



### 2. ინტერვიუ

- გამარჯობათ. ჩვენ ჟურნალისტები ვართ, ახალციხის რაიონულ რედაქციაში ვმუშაობთ. გვინდა თქვენი სტუმრების შესახებ წერილი დაეწეროს.
- ძალიან კარგი. მობრძანდით.
- როდის ჩამობრძანდით ამერიკიდან?
- ორი კვირაა აქ ვართ.
- სად ცხოვრობთ ამერიკაში?
- ქალაქ ჩიკაგოში.
- იქ მუშაობთ?
- კი, სამსახური გვაქვს მეც და ჩემ ქმარსაც.
- რამდენი ხანია საქართველოში არ ყოფილხართ?
- ორი წელია.
- ინგლისური აქ ისწავლეთ თუ ამერიკაში?
- აქ ვისწავლე. ამერიკაშიც გავაგრძელე სწავლა. ახლა კარგად ვლაპარაკობ ინგლისურად.
- კიდევ რომელ ენაზე ლაპარაკობთ?
- ვლაპარაკობ ქართულად, სომხურად, რუსულად, ინგლისურად. გერმანულიც ვიცი, მაგრამ გერმანულად კარგად ვერ ვლაპარაკობ.
- თქვენი შვილები?
- ჩემმა შვილებმა კარგად იციან ქართული, სომხური და ინგლისური. ისინი ამერიკულ სკოლაში სწავლობენ, ქართულად კი სახლში ვლაპარაკობთ.
- მოგწონთ ამერიკა?



### დიალოგები ტელეფონით


- გამარჯობათ, საერთაშორისო სადგურია?
- დიახ.
- თუ შეიძლება, მიიღეთ შეკვეთა.
- გისმენთ.
- ამერიკის შეერთებული შტატები, ქალაქი ნიუ-იორკი. ოლბონდ-ავენიუ, ნომერი 997 345 234.
- ახლავე დაგაკავშირებთ.
- გმადლობთ.



- კი, ამერიკა განვითარებული ქვეყანაა, მაგრამ იქ ცხოვრება ძნელია, თუ კარგი სამსახური არ გაქვს.
- ამერიკელებთან ურთიერთობა ადვილია?
- კი, საინტერესო ხალხია.
- როდის მიდიხართ ამერიკაში?
- ზაფხულში აქ დავისვენებთ, აგვისტოში კი წავალთ.
- კარგ დასვენებას გისურვებთ.
- გმადლობთ.
- კარგად ბრძანდებოდეთ.
- ნახვამდის.



### 3. დაიმახსოვრეთ:



### 4. მოისმინეთ:

დიალოგები ტელეფონით:




- გამარჯობათ, ბერიძის ბინაა?
- დიახ. ვინ გნებავთ?
- თუ შეიძლება, თქვენს მეზობელს - ოთარს სთხოვეთ.
- მოითმინეთ, ახლავე დავუძახებ.
- გმადლობთ, მაპატიეთ შეწუხებისათვის.
- არაფერია...ერთი წუთით...

**თემა 16**  
**Mövzu 16**

**ბაკვეთილი 1**


**Dars 1**

1.



2. ადამიანის ორგანიზმში შემდეგი ნაწილებისგან შედგება: თავი, ტანი და კიდურები. თავის უკანა ნაწილს ეწოდა ჰქვია, თავის წინა ნაწილი კი სახვა. სახის

ნაწილებია: შუბლი, წარბები, თვალეები, წამწამები, ღოჭები, ცხვირი, ნიკაპი, პირი. პირი ორი ტუჩისგან შედგება. პირში არის ენა. ადამიანს ორი ყური აქვს.



თავი ტანს უკავშირდება კისრით. კისრის წინა მხარეს ყელი ეწოდება.

კისრის შემდეგ მოდის მხრები. მხრებს ებმის ხელები. ხელი მთავრდება ხელის მტევნით. ხელის მტევანზე ადამიანს ხუთი თითი აქვს: ყველაზე მსხვილს ცერი ეწოდება, ყველაზე პატარა კი ნეკია. თითები მთავრდება ფრჩხილებით.

ადამიანის სხეულის წინა მხარეს მკერდი ჰქვია, უკანა მხარეს კი – ზურგი. კიდურებია ხელები და ფეხები. ხელები ზედა კიდურებია, ფეხები კი – ქვედა. ადამიანი ფეხებით დადის.

3. სინონიმები:



Sinonimlər:

ჰქვია – ეწოდება

მთავრდება – სრულდება

ანტონიმები:

antonimlər:

მსხვილი – წვრილი

ზედა – ქვედა.

სახე – კეფა

თავი მტკივა.

გული მაწუხებს.

მაღალი წნევა მაქვს.


ხელის მტევანი:

ნეკი

არათითი

შუა თითი

საჩვენებელი თითი




ცერი

## ბაკვეთილი 2


### Dars 2

1.



ადამიანს თავზე *თმა* აქვს. თმა შეიძლება იყოს *სწორი, ხვეული, ხუჭუჭი*. თმა ძირითადად შემდეგი ფერებისაა: *ქერა, შავი, მოწითალო, წითელი*. თმა შეიძლება იყოს *გრძელი, მოკლე, აჭრილი, შეჭრილი*. თეთრ თმას *ჭაღარა* პქვია.

*ზოგიერთი* კაცი *წვერ-ულვაშს* ატარებს, *ზოგს* კი მხოლოდ *ულვაში* აქვს. ულვაში შეიძლება იყოს *პატარა* ან *დიდი*. *ზოგს წვერი* ბალიან უხდება. თვალები შეიძლება იყოს *ცისფერი, ლურჯი, მწვანე*.



სახის ფერი შეიძლება იყოს: თეთრი, შავგერემანი, შავი. ზოგჯერ ადამიანი გაფითრებულია. ეს სახის ბუნებრივი ფერი არაა. გაფითრებული ავადმყოფია, ჯანმრთელი ადამიანი კარგად გამოიყურება.



2. აღწერეთ თქვენი ნაცნობი, მეგობარი, ამხანაგი, ახლობელი, ნათესავი, ოჯახის წევრი. დაწერეთ საგარჯიშოების რეგულში და წაიკითხეთ საკლასო ოთახში.  
Tanışınızı, dostunuzu, yoldaşınızı, qohumunuzu, ailə üzvünüzü təsvir edin.  
Çalışma dəftərinizə yazın və sinifdə oxuyun.



ანტონიმები:

ჯანმრთელი – ავადმყოფი.



3. მოისმინეთ:



ვარდისფერი



ყავისფერი



იისფერი



ნარინჯისფერი



ცისფერი

შინდისფერი

# ბაკმეთილი 3

## Dars 3

### 1. იაკობ გოგებაშვილი

## ჩხუბი ადამიანის სხეულის ნაწილებისა



ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილებმა ჩხუბი დაიწყეს. ფეხებმა თქვეს:

– აღარ გვინდა თქვენი ტარება. თქვენ თვითონ იარეთ!

ხელებმა წამოიძახეს:

– აღარ გვინდა ამდენი მუშაობა თქვენთვის! თქვენ თვითონ იმუშავეთ!

პირმა წაიბუტბუტა:

– აღარ მინდა თქვენთვის საჭმლის დეჭვა! თქვენ თვითონ ჭამეთ!

თვალები ამბობდნენ:

– აღარ გვინდა თქვენი ამდენი დარაჯობა!

ყურებმაც ხელი აიღეს სმენაზე.

ასე წაიჩხუბნენ ადამიანის სხეულის ნაწილები და შეწყვიტეს ერთმანეთის სამსახური. მაგრამ სხეულის ყველა ნაწილი დასუსტდა, სხეული გახდა და სიკვდილზე მიდგა. მაშინ მიხვდნენ ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს დაღუპავდნენ. ისევ შერიგდნენ, დაიწყეს ერთმანეთის დახმარება და სხეული ისევ საღი და ღონიერი შეიქნა.



ანტონიმები:

ღონიერი – სუსტი



2. წაიკითხეთ ეს მოთხრობა და დაწერეთ მისი შინაარსი.

Hekayəni oxuyun və məzmununu yazın.



3. შეარჩიეთ უცხო სიტყვები და გაარჩიეთ მასწავლებელთან ერთად.

[

Yeni sözləri seçin və müəllimlə birlikdə təhlil edin.

ჯანსაღი



ავადმყოფი




# თემა 17

## Mövzu 17

### ბაკჲეთილი 1

#### Dərs 1



1. გაზაფხულზე ქალაქი ლამაზია, მაგრამ სოფელი განსაკუთრებით ლამაზია, ულამაზესია. ამ გაზაფხულზე ჩემს მეგობართან ერთად სოფელში წავედი პაპასთან და ბებიასთან.

პაპა და ბებია ახალციხის რაიონის ერთ პატარა და ლამაზ სოფელში ცხოვრობენ. მათ კარგი მეურნეობა აქვთ: ყანა, ხეხილის ბაღი, ვენახი, რომელსაც პაპა უელის და კარგი ბოსტანი, სადაც ბებია მუშაობს ხოლმე.



ჭიშკარი



ვენახი



ბოსტანი



ღობე



ყანა

გიორგი ჩემი მეგობარია. იგი *თბილისელია*, ჩემთან ერთად სწავლობს. გიორგი *მესხეთში*, საქართველოს ულამაზეს *კუთხეში*, არასოდეს ყოფილა. მას ძალიან მოეწონა *იქაურობა*, განსაკუთრებით კი ჩვენი სოფელი.

ბებია და პაპა *გახარებულები* იყვნენ ჩვენი მისვლით.

პაპას დიდი *ორსართულიანი* სახლი აქვს. პირველ *სართულზე* ერთი *ოთახი* და *მარანი*, მეორე *სართულზე* კი ხუთი *ოთახი* – სამი *საძინებელი*, ერთი *სასტუმრო ოთახი* და ერთიც *კაბინეტი* ჩემთვის. როცა მივდივარ, ამ ოთახში ვიძინებ ხოლმე. აქ წიგნის *თაროები* და ბევრი წიგნია. მე კითხვა ძალიან მიყვარს. ეს იცის პაპამ და ეს ოთახი ჩემთვის *მოაწყო*.



სახლს წინ დიდი *ეზო* აქვს.

ეზოში ხილის ხეებია. სახლის უკან ვენახია, სახლის გვერდით კი ბოსტანია. სახლს წინა *მხარეს* კიბე აქვს. კიბით *აივანზე* აღიხარ. *ზაფხულობით* ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები *აივანზე* *ვიკრიბებით* და დიდხანს *ესაუბრობთ*, *ეხუმრობთ*, *ვიცინით*, *ეთამაშობთ*.

გიორგიმ ერთ-ერთ საძინებელში დაიძინა. აქ დგას ორი *საწოლი*, *კარადა*, *პატარა* მაგიდა, სამი *სკამი* და ერთი *საეარძელი*. ოთახი *ნათელია*. აქვს ორი *ფანჯარა*, *კარებთან* კი *სარკეა* დაკიდებული.

მე ძალიან მიყვარს პაპაჩემის სოფელი და ჩვენი სახლი. პაპას ძალიან კარგი მეზობლები ჰყავს. მეც სოფელში ბევრი ამხანაგი, მეგობარი, ნაცნობი და ახლობელი მყავს. ჩვენ მათაც ვესტუმრეთ.

- ტექსტში მოცემული ახალი სიტყვების გამოყენებით აღწერეთ თქვენი სახლი, ეზო, მეურნეობა.

Matnda verilmiş yeni sözlərdən istifadə etməklə evinizi, həyatınızı təsərrüfatınızı fəsvir edin.

კიბე

კარები

აივანი

საკვამური



3.

მეურნეობა



4. მოისმინეთ:

შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:

ყანა

ხეხილის ბალი

ვენახი

ბოსტანი

მეურნეობა

სოფელი

სახლი


ეზო

## ბაკვეთილი 2

### Dərs 2



1. გაეიმეოროთ და დავაშატოთ:  
Təkrar və əlavə edək.



2. თვალი გადააგლეთ თქვენს წრეს და ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები. გაესაუბრეთ ერთმანეთს.

Ətrafınıza nəzər salın və bu sözlərin vasitəsi ilə. Cümlələr qurun.

### 3. ჩემს ამხანაბთან

ჩვენს სოფელში ბევრი ჩვენი ნათესავი და ახლობელი ცხოვრობს, მაგრამ მე ყველას არ ვიცნობ. ზოგი ჩემთვის უცნობია, ბევრი კი ნაცნობია. სოფელში მე ბევრი ამხანაგი მყავს. მე და გიორგი ჩემი ბავშვობის მეგობარს ვესტუმრეთ. მას ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა.

ისაუბრაი:

სკოლის	მეგობარი	ერთგული
ეზოს		უერთგულესი
ბაღის		კარგი
ბავშვობის		უახლოესი

ჩემი ამხანაგის პაპა პაპაჩემის თანამშრომელი იყო. ისინი სკოლაში ერთად მუშაობდნენ, კოლეგები იყვნენ. ახლა კი *პენსიაზე* არიან, მაგრამ თანამოაზრეები ხშირად *ხვდებიან* ერთმანეთს.

მათ *აგურის* ორსართულიანი სახლი აქვთ. პირველ სართულზე სასტუმრო და სასადილო ოთახებია, მეორე სართულზე კი – საძინებლები. სასტუმრო ოთახში *ტელევიზორი* დგას. ტელევიზორის წინ *ტახტი*, ორი *საეარძელი* და *ჟურნალების მაგიდა*. სასადილო ოთახში კი დიდი მაგიდაა. ამ მაგიდის ირგვლივ ექვსი სკამი დგას. იქვე *ჭურჭლის კარადა*. ამ მაგიდაზე ვისადილეთ. ჩემმა ამხანაგმა ბევრი *სადღევრძელო* თქვა.



4. აღწერეთ თქვენი ან თქვენი ნაცნობის სახლი (ბინა).

Öz və ya tanışınızın evini təsvir edin.



5. სინონიმები:

ტახტი - დივანი



5. მოისმინეთ:


აღწერეთ ოთახი:



## ბაკვეთილი 3

### Dars 3

1. იგავ-არაკი მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებია, რომელშიც გადმოცემულია პატარა ამბავი და მისით მოწოდებულია დიდი სიბრძნე. წაიკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი და იმსჯელეთ მის შესახებ.



Təmsillər xırda ölcüli əsərlərdir. Onda balaca hadisə təsvir olunur, lakin müdrik fikir var. S.S.Orbelianinin təmsillərini oxuyun və təhlil edin.



სულხან საბა ორბელიანი ცხოვრობდა მე-17-მე-18 საუკუნეებში (1658-1725). მან დაწერა იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“.

Sulxan Saba Orbeliani XVII-XVIII əsrlərdə yaşayıb-yaratmışdır. (1658-1725) O "yalanın müdrikliyi" adlı təmsillər məcmuəsini yazmışdır.

2. სულხან-საბა ორბელიანი

## უტკბესი და უმწარესი




ერთმა მეფემ თავის ვეზირს უთხრა:

- წადი და ისეთი საჭმელი მომიტანე, რომ მიწაზე იმაზე უტკბესი არაფერი იყოსო. წავიდა ვეზირი და ენა მიუტანა, შეწვა და აჭამა. მეფეს მოეწონა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უბრძანა:

- ახლა წადი და ისეთი რამე მომიტანე, ქვეყანაზე იმაზე უმწარესი არაფერი იყოსო. წავიდა ვეზირი, ისევ ენა იყიდა და მოუტანა. მეფემ ჰკითხა:

აღწერეთ სამზარეულო:



- მწარე გთხოვე - ენა მომიტანე, ტკბილი გთხოვე და ისევ ენა რატომ მომიტანეო? ვეზირმა უთხრა:
- არც ენაზე უტკბესია ქვეყანაზე რამე და არც ენაზე უმწარესიო.




### 3. უპასუხეთ კითხვებს:

- რა ფორმებია უტკბესი და უმწარესი? რომელი ზედსართაგებისგანაა ნაწარმოები?  
 Մի փրին və ռո აცი „, hansı növdür? Hansı sifətlərdən əmələ gəlmişdir.
- რა მნიშვნელობითაა გამოყენებული იგავ-არაკში სიტყვა ენა?  
 Təmsildə dil hansı mənada verilmişdir?
- თქვენი აზრით, როგორი ადამიანი იყო ვეზირი? გამოიყენეთ ზედსართავი სახელები – ჭკვიანი, გონიერი... ეს ზედსართაგები სინონიმებია.  
 Vəzir necə bir adam idi. Ağıllı, zəkali sifətlərindən istifadə edin. Bu sifətlər sinonimlərdir.
- რა სიბრძნეა ამ არაკით გადმოცემული?  
 Bu təmsildə hansı müdrik fikir ifadə edilmişdir.



4. ისწავლეთ არაკი, მოჰყევით და დაწერეთ მისი შინაარსი.  
 Təmsili öyrənin, məzmununu söyləyin və yazın.

ისაუბრეთ:




# თემა 18

## Mövzu 18



### ბაკვეთილი 1

#### Dars 1

1.



2.



### 3. ჩვენი სოფელი

მე და ჩემი მეგობარი გიორგი სოფელში ერთი კვირა დავრჩით. ჩვენ მთელი სოფელი და მისი შემოგარენი დავათვალიერეთ. სოფლიდან შორს მთა ჩანს. მთის მწვერვალზე ზამთარ-ზაფხულ ყინულია. სოფელში სახნავე-სათესი მიწა ცოტაა, ვენახი და ყანა დაბლობში აქვთ. სოფლის ცენტრი ვაკეა, თვითონ სოფელი კი მთაზეა, ზღვის დონიდან 900 მეტრზე.

სოფლიდან ორ კილომეტრში დიდი მდინარე ჩამოდის. სოფელში რამდენიმე წყაროა. სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს პატარა დელე, რომელიც მდინარეს უერთდება. ეს დელე მდინარის ერთ-ერთი შენაკადია. დელე ღრმა ხევში მიდის და მდინარის ვიწრო ხეობას ერთვის. მდინარეც და დელეც მთიდან ეშვება და ზოგ ადგილას რამდენიმე ჩანჩქერია. მდინარეზე უფრო დიდი ჩანჩქერებია. ჩვენ დელეშიც ვიყავით და მდინარეზეც, ჩანჩქერები ვნახეთ. გიორგის ძალიან მოეწონა ჩვენი სოფლის ბუნება.



ჩემს სოფელს და მეორე სოფელს მდინარე ჰყოფს. ამ მდინარეზე ორი ხილია. სოფლის ზემოთ ტყეა. ტყის ზემოთ კი კლდეებია. მე და ჩემი მეგობარი ტყეშიც ვიყავით.

### 4. ზამთარ-ზაფხულ = სულ, მუდამ.

სულ, მუდამ – სინონიმებია;

სინონიმებია აგრეთვე: უმართება – ერთვის



5. აღწერეთ თქვენთვის ნაცნობი რომელიმე ადგილი ახალი სიტყვების გამოყენებით.

Yeni sözlərdən istifadə etməklə hər hansı bir yeri təsvir edin.

ნიადაგი:

უხვმოსავლიანი – ნოყიერი

მცირემოსავლიანი – მწიფი


## ბაკვეთილი 2

### Dars 2



#### 1. დიალოგი:

- გამარჯობა, რა კარგია, რომ გნახე!
- გამარჯობა. მეც მიხარია, რომ შეგხვდი. როგორ ხარ?
- კარგად, არა გვიშავს, თქვენ?
- ჩვენც კარგად. როდის გადიხართ ქალაქიდან?
- ალბათ ერთ კვირაში.
- ზაფხულში სად დაისვენებთ?
- ალბათ ჯერ მთაში, შემდეგ კი ზღვაზე წავალთ.
- მთაში სად?
- ჩვენს სოფელში. სოფელი გვაქვს მესხეთში, მთიანი სოფელია. ბავშვებისთვის მთის ჰაერი ძალიან სასარგებლოა.
- სოფელში მდინარე არის?
- მდინარე ცოტა შორსაა, მაგრამ სოფელში პატარა ღელე ჩამოდის. იქ ბავშვები მიდიან და ბანაობენ. არც გვეშინია... წყალი ცივია, ღელე კი მთისაა და ჩქარია. ერთ ადგილას ჩანჩქერია. წყალი დიდი სიმაღლიდან ჩამოდის და ძალიან ღამაზია.
- ზღვაზე როდის წახვალთ?
- აგვისტოს მეორე ნახევარში.
- სად?



- ვფიქრობთ, ან ბათუმში, ან ქობულეთში. ბათუმში ნათესავეები გვყავს, ქობულეთში კი ბინას ვკირაობთ ხოლმე. ორი კვირა დავგრჩებით. ზღვა ძალიან მიყვარს. თქვენ სად მიდიხართ ამ ზაფხულს?
- მეგობართან ვართ დაპატიუებული თიანეთში. იქ ახლოს სიონის წყალსაცავია, ირგვლივ კი ტყეა და ძალიან კარგი დასასვენებელი ადგილია.
- ძალიან კარგი.
- ახლა კი ჩემი ავტობუსი მოვიდა, მეჩქარება. ალბათ კიდევ გნახავთ.
- კარგად იყავი.



**სინონიმებია:**

ისევე – კიდევე

## 2. ლექსიკა Leksika

შეიძლება სახელს დაერთოს რაიმე მაწარმოებელი და მისგან სხვა სიტყვა მივიღოთ. ქართულში ასეთი სიტყვა ბევრია. მათი გაგებისა და დამახსოვრებისათვის კარგია ვიცოდეთ ამ სიტყვის შედგენილობა: ძირეული სიტყვის მნიშვნელობას ერთვის მაწარმოებელი აფიქსის მნიშვნელობა და მათი შეერთებით ვიღებთ ახალი მნიშვნელობის სიტყვას. ერთ-ერთი ასეთი მაწარმოებელია –იან სუფიქსი, რომელიც გამოხატავს ძირეული სიტყვით აღნიშნული საგნის ქონას ან ყოლას. მაგალითად:

Sözə hər hansı bir sözdüzəldici şəkilçi əlavə etməklə yeni bir söz alınır. Gürcü dilində belə sözlər çoxdur. Onları yadda saxlamaq üçün onun quruluşunu öyrənmək lazımdır. Sözüün kökünə sözdüzəldici şəkilçi əlavə edilir və onların birləşməsi ilə yeni söz düzəlir. Belə şəkilçilərdən biri-ian-şəkilçisidir. Bu şəkilçi əşyanın olmasını bildirir. Məsələn.

სერპანტინი  
(მიხვეულ-მოხვეული გზა)



მოსახვევი

შვილ-ი → შვილ-იან-ი

მთა → მთ-იან-ი

ბავშვი-ი → ბავშვი-იან-ი

ახალი სიტყვის საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსები, პრეფიქსები ან პრეფიქსი და სუფიქსი ერთად.

სუფიქსი ხმოვანს შეიცავს და ის ისევე მოქმედებს ფუძეზე, როგორც ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები (იხ. თემა XI). ასე რომ, ფუძე შეიძლება უცვლელი დარჩეს, დაიკარგოს ფუძიდან ხმოვანი (მტერ-ი → მტრ-იან-ი - კუმშვადი ფუძე), ანდა ბოლოში მოეკვეცოს ხმოვანი (მთა → მთ-იან-ი - კვეცადი ფუძე).

Yeni sözlər düzəltmək üçün şəkilçilərdən istifadə edilir. Kökə sait şəkilçi də təsir edir. Halanma zamanı bəzən kök dəyişmir. Bəzən kökdən sait səs ixtisar olunur ((მტერ-ი → მტრ-იან-ი), bəzən kökün son sait səsi düşür (მთა → მთ-იან-ი)..



4. დავალბა: დაურთეთ ჩამოთვლილ სიტყვებს იან სუფიქსი და თქვენ თვითონ ახსენით მიღებული სიტყვის მნიშვნელობა:

უცვლელი ფუძეები:  
ცოლ-ი

საპონ-ი (საპნ)

ქუდ-ი

კვეცადი ფუძეები:

მარილ-ი

თმა (თმ)

კუმშვადი ფუძეები:

ტყე (ტყ)

ფოთოლ-ი (ფოთლ)

მანქანა (მანქან)

წყალ-ი (წყლ)



5. სამშობლო არის ის ქვეყანა, სადაც დაიბადეთ, გაიზარდეთ, სადაც ჩვენი მშობლები და ნათესავეები ცხოვრობენ.

მამული და სამშობლო სინონიმებია.

დაეუკვირდეთ სიტყვა სამშობლოს წარმომავლობას:

Vatən sözüünə diqqət edək:

დედა და მამა მშობლებია.

დედა – მშობელი

მამა – მშობელი



მშობლები

სა-მშობლო



ა. რა მოუვიდა ძირს?

ბ. როგორ ფიქრობთ, რატომ?


გ. რა არის ამ სიტყვის ძირი?

დ. რა ერთვის ამ ძირს?

ე. რის შეშვეობით ვდებულობთ ერთი სიტყვიდან მეორე სიტყვას?

ვ. შეადარეთ ძირეული და მისგან ნაწარმოები სიტყვები ერთმანეთს. რა კავშირია მათ შორის მნიშვნელობის თვალსაზრისით?

სა – ლ, სა – ე რეფიქს-სუფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს არსებითი სახელებისგან. ამ მაწარმოებლებით მიღებული ფორმა გვიჩვენებს, რომ ეს სახელი ძირითად გამოხატული საგნისთვისაა განკუთვნილი:



სა - ე  
 კაბა → სა-კაბ-ე  
 ჩოხა → სა-ჩოხ-ე  
 ყინულ-ი → სა-ყინულ-ე

სა - ო  
 ექიმ-ი → სა-ექიმ-ო  
 სადილ-ი → სა-სადილ-ო  
 სურსათ-ი → სა-სურსათ-ო



7. დაგალება:

სა - ე

სიმინდ-ი  
 ღორ-ი  
 ქათამ-ი

სა - ო

ხიფათ-ი  
 მაგალით-ი  
 ბავშვ-ი

დაურთეთ ამ სახელებს  
 სა - ე, სა - ო მაწარმოებლები და  
 თავადვე ახსენით, რა  
 მნიშვნელობის სიტყვები მიიღეთ.



8. გაიხსენეთ ადამიანისა და საკვების წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელები. გამოყავით ის პრეფიქსები და სუფიქსები, რომლებითაც ძირეული სიტყვებისგან იწარმოებიან ეს სიტყვები.


Әңғауа уа insan adları bildiren isimleri yadınıza salın. Şakilçileri ayırın.

9. ლექსიკის სამარჯობო. Leksikaya aid çalışma.



გამოიცანით ის ქართული სიტყვები (სათანადო ფორმით), რომელთა დახასიათებასაც ქვემოთ ვთავაზობთ:

Hal şkilçileri əsasında gürcü sözlərini tapın Aşağda verilmişlər.



- |       |                                    |        |  |
|-------|------------------------------------|--------|--|
| I.    | რით დავედივართ?                    | XII.   | რა პქვია ოთახს, საღაც გეძინავს?            |
| II.   | რით ვლაპარაკობთ?                   | XIII.  | რა პქვია ოთახს, საღაც ვსადილობთ?           |
| III.  | რით ვხედავთ?                       | XIV.   | რა პქვია ოთახს, საღაც ვწერთ ან ვკითხულობთ? |
| IV.   | რას ვწერთ მეგობარს?                | XV.    | რაზე ვზივართ?                              |
| V.    | რას ვჭამთ?                         | XVI.   | რაზე ვსადილობთ?                            |
| VI.   | რას ვსვამთ?                        | XVII.  | როდის იწყება სწავლა?                       |
| VII.  | როდის ცხელა?                       | XVIII. | როდის სრულდება სწავლა?                     |
| VIII. | როდის ცივა?                        |        |  |
| IX.   | როდის გრილა?                       |        |  |
| X.    | როდის თბილა?                       |        |  |
| XI.   | რა პქვია შენობას, საღაც ვცხოვრობთ? |        |  |

მზის ამოსვლა



მზის ჩასვლა

## ბაკვეთილი 3

### Dars 3

1. აკაკი წერეთელი ცნობილი და ქართველებისათვის უსაყვარლესი პოეტია. მას მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ საქართველოში. მისი ლექსები ყველამ ზეპირად იცის და მათზე სიმღერები იწერება. ცნობილი ქართული სიმღერის - „სულიკოს“ ტექსტიც აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის. აკაკი გამორჩეული იუმორის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. თავის დროზე მეტად გავრცელებული იყო მისი მოსწრებული გამონათქვამები, ნაკვესები, ოხუნჯობანი, რომლებიც შემდგომ შეკრიბეს და რამდენჯერმე წიგნადაც გამოსცეს.



### აკაკი და უცნობი


ერთხელ აკაკი სადგურიდან სოფელში ეტლით წავიდა. მეეტლემ სხვა მგზავრიც წაიყვანა, რომელიც აკაკის გვერდით დაჯდა. მას აკაკი არასოდეს არ ენახა. მგზავრმა მოინდომა აკაკის გართობა და ზეპირად თქვა მგოსნის რამდენიმე ლექსი, თან დააყოლა: ეს ლექსები სულ ჩემიაო.

აკაკის ძალიან გაუკვირდა და პკითხა:

- ეს ლექსები ხომ აკაკისააო?

- დიახ, ბატონო! აკაკი წერეთელიც მე გახლავარო! - ამყად თქვა მატყუარამ და

### ბადააღბილების საშუალებები:



ცხენი



ველოსიპედი



ურემი

ისევ გააგრძელა ლექსების თქმა.

აკაკი გაოცდა, მაგრამ არაფერი არ თქვა.

ცოტა ხნის შემდეგ „ცრუ აკაკიმ“ ეტლი გააჩერა და აკაკის დაემშვიდობა, თან ვინაობა ჰკითხა.

- მე რა მოგახსენოთ, აქამდე აკაკი წერეთელი ვიყავი და ახლა კი აღარ ვიცი, ვინა ვარო! - ღიმილით მიუგო აკაკიმ.



**2. უპასუხეთ კითხვებს:**

- I. როგორი პოეტი ყოფილა აკაკი? გამოიყენეთ ამ ანტონიმებიდან ერთ-ერთი: ცნობილი, უცნობი.
- II. რას ნიშნავს ის, რომ ახალგაზრდა არ იცნობდა აკაკის, მაგრამ მისი ლექსები ზეპირად იცოდა. პასუხი შეარჩიეთ სიტყვებიდან: ბამონდენილი, ნაცნობი, უცნობი, კარბი, უსაყვარლესი...
- III. რა ჩანს აკაკის პასუხში? შეარჩიეთ სიტყვებიდან: არ მოეწონა, ბაბრაზა, გაუხარდა, მოეწონა...



**სინონიმები:**


- პოეტი - მგოსანი
- მატყუარა - ცრუ
- უპასუხო - მიუბო
- გაოცდა - გაუკვირდა



**ანტონიმები:**

- ცნობილი - უცნობი
- გაუხარდა - ბაბრაზა

**ბადაბდილების საშუალებები: Yerkeçirma imkanlari.**





მატარებელი



თვითმფრინავი

მე-მესამე კლასში. Nozakatli forma.



3. მთხუეფით და დარწერეთ ამ ტუქსტის შინაარსი.

Mətnin məzmununu söyləyin və yazın




4. შეადგინეთ წინადადებები აბალი სიტყუების გამოყენებით.

Yeni sözlərin vasitəsi ilə cümlələr qurun.

Verkeçirma imkanlari.



ბუბტობუბ



მუბტრო


# თემა 19

## Mövzu 19

### ბაკჰეტილი 1

#### Dərs 1

#### 1. ქართული სუფრა. Gürcü süfrəsi



ქართველებს ღამაში *სუფრა* უყვართ. სუფრა ყოველთვის *უხვია* – *ნაირნაირი კერძებით გაწყობილი*.

მაგიდაზე *ჯერ* დაალაგებენ *ჭურჭელს*: თევშებს, დანა-ჩანგალს და ჭიქებს. შემდეგ აუცილებლად მარილს და პურს, რაც, ქართველების *აზრით*, *მთავარია*,



რადგან ლხინის სუფრას ქართულად *პურმარილი* ჰქვია – ასე ამბობენ: „კარგი პურმარილი ჰქონდა“, ანუ კარგი სუფრა გაშალაო.

სუფრაზე საჭმელი და კერძები ბევრი შემოაქვთ. ჯერ ცივი კერძები – *სალათები, საცივი, სოკო, თევზი, ყველი, მოხარშული და შემწვარი ხორცი, მუავე, მწვანილი*. შემდეგ კი შემოაქვთ ცხელი კერძები – ჯერ აუცილებლად *ხაჭაპური*, მერე კი *ხორციანი კერძები*.

სუფრაზე აუცილებელია ქართული ღვინო. განსაკუთრებით კარგი სასმელია კახური ღვინო. სხვა სასმელები კი *შერჩევითაა*.

ქართული ლხინი დიდხანს გრძელდება. ბოლოს დესერტი შემოაქვთ – ხილი, ტკბილეული და ცხელი სასმელი – ჩაი ან ყავა.

ქართულ სუფრას თავისი წესი აქვს. სუფრა *თამადას* მიჰყავს. იგი *არჩეულია*.

### 3. ქართული კერძები

#### I. ცხელი კერძები:

ჩაქაფული – ცხვრის ხორცისგან გაკეთებული *წვნიანი* კერძი *ტყემლით*.

ხაშლამა – მოხარშული ძროხის ხორცი მწვანილით.

ყაურმა – *შიგნეულობისგან დამზადებული* წვნიანი.

მწვადი – *შამფურზე* შემწვარი ხორცი.

ხინკალი – *ცომში* გახვეული და ისე მოხარშული ხორცი.

ღოში – მოხარშული სიმინდის *ფქვილისგან* გაკეთებული კერძი.

ხაჭაპური – ყველი, ცომში გახვეული და *გამომცხვარი*.



ჩაქაფული



მწვადი



ხაჭაპური



ხინკალი

## II. ცივი კერძები

საცივი – მოხარშული ქათამი *ნიგეზის* წყენით. *იჭმევა* ცივად. ძალიან გემრიელია.

კუჭმაჭი – მოხარშული შიგნეულობა *ნიგეზითა* და *სუნელებით*.

ფხალი – სხვადასხვა სახის *ნიგეზიანი* ბოსტნეული.

ბაჟე – ნიგეზიანი საწებელია.

მჭადი – გამომცხვარი სიმინდის ფქვილი.

### სასმელი

არაყი  
 წყალი  
 ღვინო  
 ლიმონათი  
 მინერალური წყალი  
 ღუდი  
 კონიაკი  
 ლიქიორი  
 შამპანური

### კერძები

ხაჭაპური	მუავე
ყველი	მჭადი
თევზი	მწვადი
ფხალი	საცივი
სოკო	ბაჟე
კუჭმაჭი	სალათი
მწვადი	ხაშლაძა
ყაურმა	ჩაქაფული
ლომი	

### დესერტი

ხილი  
 ჩაი  
 ყავა  
 ნამცხვარი  
 ტორტი

ტკბილეული

მე მწყურია  
 შენ გწყურია  
 მას სწყურია



#### 4. ლექსიკა Leksika

1. -ურ ( -ულ - თუ სიტყვაში არის რ ბგერა) სუფიქსი გვიჩვენებს წარმომავლობას:

Ur(-u)-შაკილჩისი მათნაშა ბიღირი.

კახეთი - კახური ღვინო

სამეგრელო - მეგრული ღობი

იმერეთი - იმერული ყველი.



5. გამოიყენეთ ახლად შესწავლილი ლექსიკა და ისაუბრეთ შემდეგი თემების შესახებ (დაწერეთ სავარჯიშოების რვეულში):

Yeni öyrändiyiniz leksikadan istifadə edin və verilmiş mövzu haqqında danışın. (Çalışma dəftərlərinə yazın )

I. რა საჭმელები მიყვარს;

Hansı yeməkləri sevirəm

II. სუფრა მეგობრებისთვის;

Dostum üçün süfrə;

III. სადილი;

Yemək

IV. რესტორანში.

Restoranda.

მე მშობია

შენ გშობია

მას შობია



## ბაკვეთილი 2

### Dars 2

#### 1. დაბადების დღე Ad günündə.



გიორგი და ლევანი გიორგის ნათესავის დაბადების დღეზე *დაპატივეს*. ისინი დიდი სიამოვნებით წაეიდნენ.

როცა ოჯახში სტუმრები მივიდნენ, სუფრა უკვე *გაწყობილი* იყო. *გრძელ* მაგიდაზე ლამაზად იყო დალაგებული ჭურჭელი. ერთმანეთის შეხვედრისა და მოკითხვის შემდეგ სტუმრები სუფრასთან დასხდნენ. სუფრას თანდათან მიემატა კერძები. *ოჯახის უფროსმა* პირველმა აიღო ჭიქა და თქვა:

– დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა და ამიტომ *შევიკრიბეთ*. ამ სუფრის თამადა იქნება ჩვენი ოჯახის ნათესავი და მეგობარი გიორგი.

იუბილარი საჩუქრებს იღებს.

(ისაუბრეთ ამ თემაზე)



გიორგი ფეხზე ადგა და ჭიქით ხელში *სამადლობლო სადღეგრძელო* თქვა:  
 – დიდი მადლობა ჩემი არჩევისთვის. *თავდაპირველად ღმერთი ვახსენოთ* და ჩვენი სუფრაც დავიწყოთ. ღმერთი შეგვეწიოს ყველას – ესაა პირველი სადღეგრძელო. ღმერთს *დიდება*, ჩვენ – *მშვიდობა!*

ყველამ გაიმეორა ეს სადღეგრძელო და დაიწყო ღზინი. ცოტა ხნის შემდეგ თამადა ისევ *წამოდგა* და ის ოჯახი *დალოცა*, სადაც შეიკრიბნენ. მესამე სადღეგრძელოთი კი იუბილარი დალოცეს, მიულოცეს დაბადების დღე და უსურვეს *ჯანმრთელობა* და *ბედნიერება*. მომდევნო სადღეგრძელოთი მშობლები დაულოცეს იუბილარს.

გიორგი კარგი თამადაა და ლამაზი სადღეგრძელოები თქვა. სუფრაზე სტუმრები ბერს ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ. თამადა კი სადღეგრძელოებს *აგრძელებდა*: *იუბილარს* დაულოცა დედამამიშვილები, პაპა-ბები, ნათესაეები, მეგობრები. ქართულ სუფრაზე განსაკუთრებულად სვამენ სამშობლოს – საქართველოს სადღეგრძელოს.

ქართულ სუფრაზე თამადა მთავარია. იგი უნდა იყოს კარგად *მოლაპარაკე*, *მხიარული*, *განათლებული*, რომ მასთან სუფრასთან *ჯდომა* არ იყოს *მოსაწყენი*.



## 2. ფრაზეოლოგია:

- გეპატიუებით ჩემთან (ჩვენთან) სტუმრად!
- დიდი სიამოვნებით გესტუმრები(თ)!
- გილოცავ(თ) დაბადების დღეს!სს
- გმადლობ(თ)!
- გილოცავ. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!
- დიდი მადლობა!
- გაიცანით, ეს გიორგია.



- სასიამოვნოა. მე სალომე მქვია.
- სუფრა გაწყობილია, მობრძანდით!
- ღმერთი შეგვეწიოს ყველას!
- ღმერთს დიდება, ჩვენ – მშვიდობა!



გილოცავ  
გლოცავ




3. მოყევით და დაწერეთ თემები: *Mövzuları yazın və danışın.*

- I. ჩემი დაბადების დღე;
- II. ჩემი მეგობრის დაბადების დღე;
- III. ქართული სუფრა.

მოყოლისას (წერის პროცესში) გამოიყენეთ ახალი სიტყვები:

ვიცეკვით / ვცეკვავდით; ვიმღებთ / ვმღებოდი, ვიხუმრეთ / ვხუმრობდით,  
ვილაპარაკეთ / ვლაპარაკობდით...



## ბაკვეთილი 3

Dars 3



1. ლექსი „ამირანი“ აკაკი წერეთლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია. ადამიანებისათვის ცუცხლის მომტანი, ხალხისთვის თავდადებული ამირანი კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული გმირია, რომელიც დიდ ტანჯვას ითმენს, მაგრამ არსებობს იმედი მისი განთავისუფლებისა. ბერძნული მითოლოგიის გმირს პრომეთეს და ამირანს ერთმანეთს უკავშირებენ და არსებობს მოსაზრება ამ ორი გმირის იდენტურობის შესახებ.

ამ ლექსში ქართული მითოლოგიის გმირი ამირანი საქართველოს სიმბოლურ-ალეგორიულ სახედაა გამოყვანილი.

## ამირანი

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭვული,  
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.



ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,  
და რაღაცა მანქანებით  
წყლული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,  
არც კენესოდა, არც ოხერიდა;  
უსამართლო ძლიერებას  
მონურად ქედს არ უხრიდა!  
ბოლოს მაინც გამარჯვება  
დარჩა, ყველა გააოცა!..  
და ის დვაწლი მაგალითად  
მიწის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვაე-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი,  
სიხარულით შეეცვლება  
ამდენი ხნის გასაჭირი!..



## 2. განმარტებანი:

ქედი – მაღალი მთების რიგი.  
მიჯაჭვული – ჯაჭვით დაბმული  
ცეცხლი არ ნელდებოდა – ცეცხლი არ ქრებოდა  
რაღაცა მანქანებით – რაღაც ძალით  
წყლული – ნატკენი  
მიწის შვილი – ადამიანი

ქედი  
(მთაგრეხილი)



თავს აიშვებს – განთავისუფლდება  
ქვეყნად – ქვეყანაზე  
გულს – გულზე  
ქედის მოხრა – დამორჩილება  
გმირთაგმირი – დიდი გმირი  
ხანი – დრო  
ამდენი ხნის – დიდი დროის.



3. გადმოეცით ამ ლექსის შინაარსი. ერინ მაზმუნუნუ სყლაყინ

რას ეხება ლექსი?

Şer nəyə aiddir?

როგორია ამირანი?

Amiran necə insandır?

როგორ მდგომარეობაშია ამირანი?

Amiran hansı vəziyyətdədir?

რატომ არის ასე ამირანი?

Amiran nə üçün bu vəziyyətdədir?

რატომაა გმირი ამირანი?

Amiran nə üçün qəhrəmandır?

რა მაგალითი მისცა ამირანმა ადამიანებს?

Amiran adamlara hansı nümunəni verdi?

რისი სახეა ამირანი?

Amiran nəyin simvoludur?

როგორ მთავრდება ლექსი? იმედით? თუ არა?

Şer necə bitir? Ümüdlə yoxsa ümüdsiz?

რას ეუბნება ამ ლექსით აკაკი მკითხველს?

Akakı oxucularına bu şer vasitəsi ilə nə deyir?

ააგეთ თითო წინადადება შემდეგი ნასწავლი ფრაზების  
გამოყენებით:

Öyrəndiyiniz cümlələr vasitəsi ilə bir-bir cümlə qurun.

ცეცხლი არ ნელდებოდა

ამდენი ხნის

თავს აიშვებს

რალაცა მანქანებით

# თემა 20

## განმეორება და შეჯამება

### 1. ქართული ანბანი. ქართული ენის ბგერითი სისტემა

ქართული ენა ერთ-ერთი უმდიდრესი და უძველესი ენაა მსოფლიოს ენათა შორის, ქართული ანბანი კი ერთ-ერთია დედამიწაზე გაერცელებულ 14 ანბანს შორის. ქართული მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს და ძველ სამწერლობო ენას წარმოადგენს. ქართული წერილობითი ძეგლები V საუკუნიდან დასტურდება.

ქართულმა ანბანმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახით გამოიყენებოდა.

ქართული ანბანი სრულყოფილი და მარტივია. ყველა სამეტყველო ბგერას მოეპოვება თავისი ერთადერთი ნიშანი – ცალკე ასო, რომელიც ყოველთვის ერთნაირად იკითხება. აქედან გამომდინარე, ქართული ორთოგრაფიაც მარტივია – იკითხება ისევე, როგორც იწერება და პირიქით: როგორც გამოითქმის, ისე იწერება. ქართულს არა აქვს დიდი და პატარა ასოები.

ქართულ ენაში 33 ასო-ბგერაა. აქედან 5 ხმოვანია და 28 თანხმოვანი. სომხურისგან განსხვავებით, ქართულში არ გვაქვს ორგვარი რ. სამაგიეროდ, ქართულს მოეპოვება ყ ბგერა, რომელიც სომხურისთვის უცხოა და საკმაოდ რთული წარმოსათქმელიც ბგერა ენის ძირთან წარმოითქმის:

ხმოვნებია: ა, ე, ი, ო, უ

ყველა დანარჩენი ბგერა                    თანხმოვანია.

ხმოვნები	ა, ე, ი, ო, უ
თანხმოვნები	ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ჟ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, პ

## 2. მარცვალი

ქართულში მარცვალს ქმნის ხმოვანი, ამიტომ მარცვალი აუცილებლად შეიცავს ერთ ხმოვანს. ხმოვანთან ერთად, მარცვალი შეიძლება შეიცავდეს ერთ, ორ და მეტ თანხმოვანს.

სიტყვის დამარცვლისას უნდა დაეიმახსოვროთ ერთი საჭირო წესი: თუ სიტყვაში ხმოვანს ორი ან მეტი თანხმოვანი მოსდევს, პირველი წინა მარცვალს მიეკედლება, ხოლო დანარჩენი – მომდევნოს.

სიტყვათა დამარცვლის წესების ცოდნა ძალიან გვეხმარება წერის დროს: სტრიქონის ბოლოს ხშირად გვიხდება სიტყვის გაწყვეტა და გადატანა მომდევნო სტრიქონზე; თუკი ვიცით სიტყვის სწორად დამარცვლა, აღარ დაგუშვებთ შემდეგ შეცდომებს:

- ა. ერთმარცვლიანი სიტყვის გაწყვეტა არ შეიძლება: ის ან იმავე სტრიქონზე უნდა დავტოვოთ, ანდა მთლიანად გადავიტანოთ მომდევნოზე (მაგალითად, ისეთი გრძელი ერთმარცვლიანი სიტყვა, როგორცაა გებრდღენის, არ შეიძლება გაწყვიტოთ.
- ბ. მარცვალი შეიძლება ერთმა ხმოვანმა შექმნას. მიუხედავად ამისა, ერთი ხმოვნის არც დატოვება და არც გადატანა არ შეიძლება: შეცდომაა როგორც ა-ილო, ასევე, აილ-ო.
- გ. რამდენიმე თანხმოვანი თუ მოიყრის ერთად თავს ორ- და მეტმარცვლიან სიტყვაში, პირველი თანხმოვანი წინა ხმოვანთან ერთად უნდა დავტოვოთ, დანარჩენი კი გადავიტანოთ: და-აფ-რთხობს, დამ-წვა და ა.შ.

## 3. მენტყველების ნაწილები

ქართულ ენაში 10 მეტყველების ნაწილია. ესენია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნბიზედა, ზმნა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი და შორისდებული.

## 4. არსებითი სახელი

არსებითი სახელი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა. ის მოგვიგებს კითხვებზე ვინ? და რა? კითხვა ვინ? მხოლოდ ადამიანს მიემართება, რა? კი ყველა დანარჩენს, სულიერსაც და უსულოსაც.

არსებით სახელებში გამოიყოფა საკუთარი და საზოგადო სახელები. საკუთარი სახელებია: გიორგი, არმენი, თამარი, ახალქალაქი, მტკვარი. საზოგადოა: დედა, სოფელი, კატა, ფეხი, სახლი და სხვა.

## 5. ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი გამოხატავს საგნის ამა თუ იმ თვისებას; იგი გვიჩვენებს, თუ როგორია საგანი.

ზედსართავ სახელს დაესმის კითხვები: როგორი? (რანაირი? რომელი?), სადაური? როდინდელი?

ზედსართავ სახელებში ბევრია სინონიმები და ანტონიმები.

სინონიმური ზედსართავი სახელებია:

ლამაზი – მშვენიერი, ამაყი – ამპარტავანი, ბეჯითი – შრომისმოყვარე...

ანტონიმური ზედსართავებია:

ბეჯითი – ზარმაცი, გრძელი – მოკლე, დიდი – პატარა, მაღალი – დაბალი...

ზედსართავი სახელი საგნის თვისებას გამოხატავს, მაგრამ ეს თვისება საგანს შეიძლება მეტად ან ნაკლებად ჰქონდეს; მაგალითად, დიდი – მოდილო – უდიდესი; თეთრი – მოთეთრო – უთეთრესი, ეს ხარისხის ფორმებია. დიდი, თეთრი – დადებითი ხარისხის ფორმებია, მოდილო, მოთეთრო – ოდნაობითი ხარისხის ფორმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ თვისება საგანს ოდნავ, მცირე ოდენობით ახასიათებს. უდიდესი, უთეთრესი – უფროობითი ხარისხის ფორმებია, ანუ საგნის თვისების მომეტებულ ოდენობაზე მიუთითებს.

ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმები დადებითისგან იწარმოება (შესაბამისად, მო – ო, უ – ეს აფიქსების დართვით):

დიდ-ი	მო-დიდ-ო	უ-დიდ-ეს-ი
თეთრ-ი	მო-თეთრ-ო	უ-თეთრ-ეს-ი

-ელ და -ილ მარცვლებით დასრულებულ ზედსართავ სახელებს ხარისხის ფორმები სხვაგვარად ეწარმოებათ - იკარგება ეს მარცვლები:

გრძ-ელ-ი	მო-გრძ-ო	უ-გრძ-ეს-ი
ტკბ-ილი	მო-ტკბ-ო	უ-ტკბ-ეს-ი

განსხვავებულად ეწარმოება უფროობითი ხარისხის ფორმები ანტონიმურ ზედსართავ სახელებს – კარგი, ცუდი:


კარგი	საუკეთესო
ცუდი	უარესი

## 6. რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა რაოდენობას ან რიგს, ან კიდევ გამოხატავს საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით. ამის მიხედვით გამოყოფენ რაოდენობით, რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს.

რაოდენობით რიცხვით სახელებს დაესმის კითხვა რამდენი?

რაოდენობის აღნიშვნა ორგვარადაა შესაძლებელი: გარკვეულია ის რიცხვები, რომლებიც ითვლება და გადმოიცემა ციფრებით: მაგალითად: ერთი, ოცი, სამოცდაშვიდი, ათას ხუთასი... გაურკვეველი რიცხვის აღნიშვნელი სახელებია: ბევრი, მრავალი, ურიცხვი, უთვალავი, უამრავი.



ბევრი-ს ანტონიმია ცოტა. ვაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელების მნიშვნელობა ციფრებით ვერ გამოიხატება. გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი იხმარება ისეთი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან, რომელიც შეიძლება დაეთვალით (აიხ ვაშლი, ოცე ბავშვი...), რასაც ვერ დავითვლით, იმ საგნის სახელთან გარკვეული რიცხვითი სახელი არ იხმარება: ბევრი ფუჭილი (მაგრამ არა: ორი, ხუთი, ოცი ფუჭილი).

რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. მარტივი რიცხვითი სახელებია 1-დან ათამდე, ოცი, ასი, მილიონი, მილიარდი. დანარჩენები რთულია. რთული რიცხვითი სახელები ორი ან მეტი ფუძისგან იწარმოება: თერთმეტი, სამოცი, ოცდაათი, ოთხას ოცი... როცა რიცხვი გადმოცემულია რამდენიმე რიცხვითი სახელით, ისინი ცალ-ცალკე იწერება: ათას ცხრაას ოთხმოცდაათი. ცალკე იწერება აგრეთვე ასის ზევით რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: ას ერთი, ას ოცდაათი.

ქართულში თვლის სისტემა ათობით-ოცობითია. ათობითია ათიდან ცხრამეტამდე, ხოლო ოცობითია ოციდან ოთხმოცდაცხრამეტამდე.

რიგობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა რიგს, თანამიმდევრობას.

მესამე, ოცდამეერთე, მეათე - რიგობითი რიცხვითი სახელებია.

რიგობითი რიცხვითი სახელი უპასუხებს კითხვებზე მერამდენე? ანდა რომელი?

რიგობითი რიცხვითი სახელები რაოდენობითისგან იწარმოება:

ორ-ი →	მე-ორ-ე
ათ-ი →	მე-ათ-ე
